შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"ელკომალიანსი"

ტელ. 599–50–24–76. 598–19–14-69

tgintextg@gmail.com

ქ.თბილისში, კრწანისის ქუჩაზე (ნაკვეთი 14/72) მდებარე შ.პ.ს "ბაზელი"–ს კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული შენობის ს/კ 01.18.06.014.078 სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი.

(სსოპ – მოპ)

თბილისი 2019 წ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

"ელკომალიანსი"

ქ.თბილისში, კრწანისის ქუჩაზე (ნაკვეთი 14/72) მდებარე შ.პ.ს "ბაზელი"–ს კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული შენობის ს/კ 01.18.06.014.078 სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი.

(სსოპ – მოპ)

დირექტორი /თ. გოცირიძე/

შეადგინა /ვ.ოდილავაძე /

თბილისი

2019 წ.

ქ.თბილისში, კრწანისის ქუჩაზე (ნაკვეთი 14/72) მდებარე შ.პ.ს "ბაზელი"–ს კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული შენობის ს/კ 01.18.06.014.078 სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი.

(სსოპ – მოპ)

I. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დასახელება

1. სადემონტაჟო შენობა(ს/კ01.18.06.014.078) მდებარეობს ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩაზე(ნაკვეთი 14/72) მდებარე შ.პ.ს. " ბაზელი"–ს კუთვნილ ნაკვეთზე.

აღნიშნული შენობა სავარაუდოდ აშენდა გასული საუკუნის 70-იან წლებში იგი აშენებული იყო მაშინდელი სამთავრობო რეზინდეციის ტერიტირიზე და მასში განთავსებული იყო რეზიდენციის სასტუმრო და საკომფერენციო აპარდამენტები.

გამომდინარე იქედან, რომ დღეისათვის აღნიშნული შენობა უფუნქციოა, მისი ელემენტების გარკვეული ნაწილი დემონტირებულია და საუნის იატაკებმა განიცადეს ჯდენები იგი ექვემდებარება დემონტაჟს.

– სადემონტაჟო შენობა ხუთ სართულიანია სიმაღლით კეხამდე 21,0 მეტრი, იგი გეგმაში რთული ფორმისაა შედგება სამი (გეგმაში) მართკუთხა ფორმის "ა", "ბ" და "გ" ბლოკისაგან, "ა" ბლოკი განთავსებულია"1–3" და "გ–ი" ღერძებში, "ბ" ბლოკი განთავსებულია "4–12" და "ა–ლ" ღერძებში, "გ" ბლოკი განთავსებულია "13–15" და "გ–ი" ღერძებში.

"ა" და "გ" ბლოკები სარკისებურია ისინი ნაშენია ანაკრები მსხვილი საკედლე ბლოკების (სასკოლო ტიპის) და რ/ბეტონის ანაკრები ღრუტანიანი გადახურვის ფილებით", საძირკვლები მონოლითური რ/ბეტონის ლენტური ტიპისაა.

"ბ" ბლოკი ნაშენია ასევე ანაკრები მსხვილი საკედლე ბლოკების და რ/ბეტონის ანაკრები გადახურვუს ფილებით, გარდა ამ კონსტრუქციებისა "8–9" და "ბ–ი" ღერძებში ხუთივე სართულებზე დაბეტინებულია მონოლითური რ/ბეტონის კოლონები და რიგელები რომელთა მეშვეობითაც ბლოკის შუა ნაწილში შექმნილია გახსნილი სივრცე, საძირკველი მონოლითური რ/ბეტონის ლენტური ტიპისაა პერიმეტრზე ხოლო მონოლითური კოლონების ქვეშ წერტილოვანი ტიპისსა ისინი ურთიერთ შორის შეკრულია რ/ბეტონის მონოლითური რანდკოჭებით.

შენობის სახურავი ოთხ ქანობიანია მოწყობილია ხის ელემენტებით (მაუერლატი, დგარები, გამბრჯენები, ნივნივები და მოლარტყვა. სახურავის ფენილი მოწყობილია თუნუქის ფურცლებით.

სატიხრე კედლები მოწყობილია აგურის ქვიშა–ცემენტოს ხსნარზე წყობით. კარისა და ფანჯრის ბლოკები ხისაა.

სართულშუა სარტყელები მოწყობილია მონოლითური რ/ბეტონით.

მზიდი კედლები ნაშენია პემზო–ბეტონის ანაკრები მსხვილი (ეგრედ წოდებული სასკოლო ტიპის) საკედლე ბლოკების და სილიკატური აგურის ქვიშა–ცემენტის ხსნარზე წყობის ჩანართებით.

2. საქართველოს სეისმური დარაიონების რუქის მიხედვით იგი განთავსებულია 8 ბალიან სეისმური მემოქმედების ზონაში.

3.სადემონტაჟო სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა 16 ათასი ლარი დ.ღ.გ–ს ჩათვლით.

4. დემონტირებული მასალების გარკვეული ნაწილი, კერძოდ მოსაპირკეთებელი ფილები, ანაკრები ღრუტანიანი გადახურვის ფილები და სხვა ვარგისი იქნება მეორადი ხმარებისათვის.

5. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტში შეტანილი მითითებებით. საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია.

6. სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებასთან და წარმართვასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, გაანგარიშებები და რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია და განმარტებულია მოპ-ის ცალკეულ შესაბამის თავებში.

2. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

1. სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობა მოსამზადებელი სამუშაოების გათვალისწინებით სამუშაოების მოცულობებიდან გამომდინარე (ასევე დამკვეთსა და შემსრულებელს შორის მოლაპარაკების საფუძველზე) იქნება 3,0 თვე, სეისმური პირობები გავლენას ახდენენ მშენებლობის ხანგრძლივობაზე. 8 ბალზე მიღებულია კოეფიციენტი $к_1$=1,05 ამრიგად სადემონტაჟის სამუშაოების ნორმატიული ხანგრძლოვობა გაიზრდება 3,15 თვემდე.

2. სულ სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობა ჯამში 3,15 თვეა.

3. ზემოთ აღნიშნული გაანგარიშებების საფუძველზე შედგა სადემონტაჟო სამუშაოების კალენდარული გრაფიკი.

3. სამუშაოების წარმოების წესები და მეთოდები

1. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო ორგანიზაციამ შეადგინოს სამუშაოთა წარმოების პროექტი.

2. სადემონტაჟო სამუშაოების მოცულობათა განსაზღვრისათვის შედგენილი უნდა იქნეს დეფექტური აქტი.

3. ტერიტორია რომელზედაც არის განთავსებული სადემონტაჟო შენობა 24 საათის განმავლობაში იმყოფება სახელმწიფო დაცვის მითვალყურეობის ქვეშ იგი შემოფარგლურია ლითონის ღობით და აღნიშნულ ტერიტორიაზე უცხი პირთა მოხვედრა არის გამორიცხული ამიტომ ეკონომიური თვალსაზრისიდან გამომდინარე შესაძლებელია, რომ სადემონტაჟო ობიექტისათვის არ მოეწყოს ცალკე დროებითი ღობე და ჭიშკარი.

4. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე უნდა გაითიშოს ელექტრო და წყალსადენის ქსელები.

5. როგორც I თავში ავღნიშნეთ სადემონტაჟო შენობა შედგება სამი "ა", "ბ" და "გ" ბლოკისაგან ამიტომ სადემონტაჟო სამუშაოები დაყოფილია 4 ეტაპად.

1 ეტაპზე უნდა განხორციელდეს მოსამზადებელი სამუშაოები (პირველი კვირის განმავლობაში).

2 ეტაპზე უნდა დაიშალოს "ა" ბლოკი (პირველი თვის განმავლობაში),

3 ეტაპზე უნდა დაიშალოს "გ" ბლოკი (მეორე თვის განმავლობაში).

4 ეტაპზე უნდა დაიშალოს "ბ" ბლოკი (მესამე თვის განმავლობაში).

ბლოკების დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ზევიდან ქვევით შემდეგი თანმიმდევრობით:

– დემონტირებული იქნას ფანჯრისა და კარის შემინული ბლოკები ყველა სართულებიდან;

– დემონტირდეს სართულებზე აგურის წყობით ნაშენი სატიხრე კედლები;

– ფასადებიდან მოიხსნას ბოლნისის ტუფის და კურსების გრანიტის ფილებით მოწყობილი მოპირკეთებები და ქიშა–ცემენტის ხსნარი, ასევე მოიხსნას აივნების

მოაჯირები, დამზადებული ბეტონის ანაკრები დეტალები. (სამუშაოები იწამოოს ქარხნული წარმოების ინვენტარული ხარაჩოების მოწყობით ან საავტომობილო კალათების მეშვეობით);

– "3–6" და "დ–8" ასევე "11–13" და "დ–8" ღერძებში განთავსებული კიბის უჯრედბში დემონტირდეს მარმარილის ფილები;

–სახურავიდან მოიხსნას თუნუქის ფენილი;

–დემონტირებული იქნას სახურავის ხის ელემენტები (მოლარტყვა, ნივნივები, გამბრჯენები, დგარები, მაუერლატი);

– დემონტირებული იქნას +17,20 ნიშნულზე დამონტაჟებული რ/ბეტონის ანაკრეფი გადახურვის ფილები და მონილითური რ/ბეტონის სარტყელი;

– დემონტირებული იქნას მეხუთე სართულის მზიდი კედლიბი ნაშენი პემზობეტონის მსხვილი საკედლე ბლოკებითა და აგურის წყობის ჩანართებით;

–მეხუთე სართულის სადემონტაჟო სამუშაოების თანმიმდევრობით განხორციელდეს +13,60, +10,00, +6,40 და +2,80 ნიშნულებზე (მეოთხე, მესამე, მეორე და პირველი სართულების) ღრუტანიანი ანაკრები გადახურვის ფილების, მონოლითური რ/ბეტონის სარტყელების და მზიდი კედლების სადემონტაჟო სამუშაოიბი;

– დემონტირებული იქნას მონოლითური რ/ბეტონისაგან მოწყობილი ლენტური ტიპის საძირკველი;

– საძირკვლის თხრილები შეივსოს მიწით მოსწორდეს და დაიტკეპნოს ფენებად;

6. ანალოგიური თანმიმდევრობით უნდა განხირციელდეს "გ" ბლოკის და შემდგომ "ბ" ბლოკის სადემონტაჟო სამუშაოები.

7. სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს "კატო"–ს ტიპის (ან მისი მზგავსი) ავტოამწის, ელექტრო პერფორატორების და პნევმატიური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით.

8. სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის დროს ობიექტის ტერიტორიაზე არ უნდა იყოს ზედმეტი მუშები, მასალები, გარეშე პირები და ა.შ.

რ/ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი უნდა განხორციელდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

1.გაიწმინდოს გადახურვის ღრუტანიანი ფილებს შორის არსებული ღარები ბეტონის ან ქვიშა-ცემენტის ხსნარისაგან;

- პერფორატორის ან პნევმატიური ჩაქუჩის საშუალებით მოინგრეს ფილების თავებში დაბეტონებული რ/ბეტონის შემოფარგვლები („აბვიაზკა“);
-დათვალიერებული იქნას ფილებში ჩამონტაჟებული ქარხნული წარმოების ლითონის ასაწევი მარყუჟების მდგომარეობა, მათი ფილის ტანში ჩაღუნვის შემთხვევაში (მონტაჟის შემდგომ) ისინი უნდა ამოიწიოს ფილის ტანიდან ისე, რომ შესაძლებელი იქნას მათში ასაწევი კაუჭების თავისუფალი ჩაყენება (ჩაბმა);
- იმ შემთხვევაში თუ ლითონის მარყუჟები (მონტაჟის შემდგომ) ჩაჭრილია უნდა მოხდეს ელექტრორკალური შედუღების გამოყენებით მათი აღდგენა ხარისხიანად;
- გადახურვის ფილების სადემონტაჟო აწევა უნდა განხორციელდეს მის თავებში განთავსებული ოთხი ცალი ასაწევი მარყუჟებით ერთდროულად. დაუშვებელია ერთი, ორი ან სამი ცალი მარყუჟების გამოყენებით და ტროსის ფილის ქვევიდან ამოტარებით სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება;
- ასაწევ კავებს უნდა გააჩნდეთ თვით ჩამკეტი მოწყობილობა, რომელიც გამორიცხავს კავების თვითნებურ გამოვარდნას ასაწევი მარყუჟიდან.
2. პერფორატორის ან პნევმატიური სანგრევი ჩაქუჩის გამოყენებით უნდა მოინგრეს მსხვილი საკედლე პემზო-ბლოკების თავებზე დაბეტონებული რკინა/ბეტონის მონოლითური სარტყელები.
3. პემზო-ბეტონის მსხვილი საკედლე ბლოკების თავები უნდა გასუფთავდეს სამშენებლო ნაგვისაგან.
-დათვალიერებული უნდა იქნას ბლოკების ზედა თავში ორი ცალი ქარხნული წარმოების ლითონის ასაწევი მარყუჟები, რათა დადგინდეს შეიძლება თუ არა მათი გამოყენება კონსტრუქციის ასაწევად (სადემონტაჟოდ). იმ შემთხვევაში (სამონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდგომ) ისინი თუ გადაღუნულია უნდა მოხდეს მათი გასწორება ისე, რომ თავისუფლად იქნას შესაძლებელი მათში თვითჩამკეტიანი ასაწევი კავების ჩაყენება (ამოდება), ხოლო თუ მარყუჟები მოჭრილია (მონტაჟის დასრულების შემდგომ) ისინი აღდგენილ უნდა იქნენ ელექტრო რკალური შედუღების გამოყენებით ხარისხიანად;
- მსხვილი საკედლე პემზო-ბეტონის სადემონტაჟო აწევა უნდა განხორციელდეს ერთდროულად თვითჩამკეტიანი კაუჭების ორივე მარყუჟში ჩაბმით;
- ერთი მარყუჟის გამოყენებით ან ბლოკის ტანზე ტროსის შემოტარებით მათი დემონტაჟი ყოვლად დაუშვებელია;
4. იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება ზემოხსენებული ასაწევი მარყუჟების აღდგენა, მაშინ დამატებით დამუშავებული ინდა იქნას ღონისძიება ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟისათვის, რის მიხედვითაც უნდა გაკორექტირდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი, საკითხი უნდა შეთანხმდეს დამპროექტებლებთან.
5. რაც შეეხება რკინა/ბეტონის მონოლითურ კონსტრუქციებს (კოლონები, რიგელები, კიბის მარშები და ბაქნები, სარტყელები, გადახურვის ფილები და სხვა.) ისინი უნდა დაიშალოს პერფორატორების ან პნევმატიური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით.
6. სამშენებლო ნაგავის გამოტანა (ჩამოყრა) სართულებიდან უნდა განხორციელდეს სპეციალური დახურული ასაწყობი ღარების გამოყენებით უშუალოდ თვითმცლელი

ავტომანქანების ძარებზე ან ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ ნაგავსაყრელებზე.

7. სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით.

- სამუშაოების წარმოებისას გამოყენებული უნდა იქნას ტექნიკურად გამართული მექანიზმები (ამწე, ასაწევი საშუალებები, ავტოტრანსპორტი და სხვა.) რომლებზედაც გაცემულია მათი ვარგისიანობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები;
- ამწეს და ავტოტრანსპორტს გავლილი უნდა ქონდეთ ტექნიკური დათვალიერება.

8. სადემონტაჟო სმუშაოების წარმოებისას გამოყენებულ უნდა იქნას სელიტური ბადეები, რათა არ მოხდეს გარშემო ტერიტორიების და ატმოსფეროს დაბინძურება.

4. უსაფრთხოების ტექნიკა

1. სამშენებლო მოედანზე სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა მოხდეს უსაფრთხოების დაცვა СНиП-Ш-4-80* "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე" და "კრებული სამახსოვრო სამშენებლო წარმოების ნორმები და წესების" შესაბამისად.

2. სადემონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად დაიშვებიან, პირები რომელთაც გააჩნაით სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება, აქვთ არა ნაკლებ 3 წლის სამუშაო სტაჟი გემოთ აღნიშნული სამუშაოების შესრულების.

3. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

4. დემონტირებული მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით, ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

5. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება შედუღების აპარატის და ელექტრო მოწყობილობათა სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

6. სამშენებლო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

7. სამშენებლო უბანზე უნდა იქნას გათვალისწინებული სანიტარული პირობები მუშაობისათვის **СНиП-Ш-4-80*** შესაბამისად.

8. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში ენერგომეურნეობის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართულ სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან, ასევე ვაყენებთ მრიცხველსაც, საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

9. სადემონტაჟო სამუშაოების დროს შენობა-ნაგებობაში და ტერიტორიაზე არ უნდა იმყოფებოდნენ გარეშე პირები.

10. დემონტირებული სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დროებითი (დასაწყობება) დაწყობა უნდა მოხდეს სხვადასხვა ადგილებში.

11. სატვირთავ-გასატვირთავი სამუშაოების შესრულების დროს გამოსაყენებელი ტვირთასაწევი საკონტეინერო და პაკეტირების საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური პირობების მოთხოვნებს.

12. ობიექტზე დასაქმებულ მომუშავეებს, სისტემატიურად უნდა ჩაუტარდეთ ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვისათვის და მათ ხელი უნდა მოაწერონ ობიექტზე წარმოებულ "უსააფრთხოების ტექნიკის" ჟურნალში რითაც დასტურდება, რომ ისინი გაცნობილი არიან უსაფრთხოების ნორმებს და ვალდებული არიან დაიცვან ეს ნორმები.

13. პასუხისმგებლობა უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვისათვის მანქანების (იარაღების, ინვენტარის, ტექნოლოგიური აღჭურვილობის, მოწყობილობის), აგრეთვე მომუშავეთა კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ექსპლუატაციის დროს ეკისრება:

- მანქანების და დაცვის საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისათვის ორგანიზაციას, რომლის ბალანსზეც ირიცხება ეს მანქანები და საშუალებები;

- შრომის უასაფრთხოებაზე სწავლებისა და ინსტრუქტაჟის ჩატარებისათვის–ორგანიზაციას, რომლის შტატშიც ირიცხებიან მომუშავეები;

- შრომის უასაფრთხოების მოთხოვნათა დაცვისათვის სამუშაოების წარმოების დროს-ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს;

14. სამუშაოების დაწყების წინ იმ ადგილებში, სადაც არსებოს ან შეიძლება წარმოიქმნას საწარმოო საშიშროება (შესასრულებელი სამუშაოების ხასიათისაგან დამოუკიდებლად), სამუშაოების პასუხისმგებელ შემსრულებელს აუცილებლად უნდა მიეცეს განაწესი-დაშვება არსებული ფორმის მიხედვით;

15. განწესი-დაშვება გაიცემა იმ ვადით, რომელიც საჭიროა დავალებული სამუშაოების მოცულობის შესასრულებლად. სამუშაოების წარმოების პირობების შეცვლის შემთხვევაში განწესი-დაშვება უქმდება და სამუშაოების განახლება შეიძლება მხოლოდ ახალი განწესი-დაშვების გაცემის შემდეგ.

პირი, რომელმაც გასცა განწესი-დაშვება სამუშაოების წარმოებაზე, ვალდებულია განახორციელოს კონტროლი სამუშაოების პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მიერ შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებების შესასრულებლად;

16. დამოკიდებულ სამუშაოთა შესასრულებლად დაიშვებიან პირები (მუშები და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკები) არანაკლებ 18 წლისანი, რომლებმაც გაიარეს სამედიცინო შემოწმება და მიჩნეული არიან ვარგისებად, აქვთ მაღლივ სამუშაოთა მუშაობის სულ მცირე სამი წლის სტაჟი და არანაკლებ მე-3 სატარიფო თანრიგი. მუშები, რომლებსაც პირველად უშვებენ მაღლივ სამუშაოებზე, ერთი წლის განმავლობაში უნდა მუშაობდნენ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დანიშნულ გამოცდილი მუშის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ;

17. ყველანი ვინც სამშენებლო მოედანზე იმყოფებიან, მოვალენი არიან ატარონ 12.4.087-80 სახსტანდარტით რეკომენდებული დამცავი ჩაჩქანი. მუშები და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკები სამუშაოების შესასრულებლად არ დაიშვებიან დამცავი ჩაჩქანებისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა აუცილებელი საშუალებების გარეშე;

18. სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების გაცემა, შენახვა და სარგებლობა უნდა ხორციელდებოდეს დამტკიცებული "სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლის და დამცველი სამარჯვების გაცემის, შენახვისა და სარგებლობის წესების შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

19. სამშენებლო ორგანიზაციის შტატში ახლად ჩარიცხული მუშების სამუშაოზე დაშვების წინ. აგრეთვე მათ მიერ სამუშაოების შესრულების პროცესში, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია უზრუნველყოს სწავლებისა და ინსტრუქტაჟის ჩატარება შრომის უსაფრთხოებაზე 12.0. 004-79 სახსტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.

შრომის უსაფრთხოებაზე განმეორებითი ინსტრუქტაჟი აუცილებელია ჩატარდეს ყველა მუშისათვის რეგულარულად.

20. სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები, მუშების შტატში ჩარიცხვის დღიდან მოვალენი არიან შეასწავლონ მათ სამუშაოების წარმოების უსაფრთხო მეთოდები.

სწავლების გავლამდე მუშები სამუშაოების დამოუკიდებლად შესასრულებლად (მათი თანხმობით დანიშნული გამოცდილი მუშების მეთვალყურეობის გარეშე) არ დაიშვებიან.

21. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს აუცილებელია დაცული იქნეს საწარმოო ოპერაციების ტექნოლოგიური თანმიმდევრობა ისე, რომ წინა ოპერაცია არ წარმოადგენდეს საწარმოო საფრთხის წყაროს მომდევნო ოპერაციების შესრულების დროს.

22. საჭიროა დადგინდეს ადამიანებისათვის სახიფათო ზონები.

23. სამუშაო ადგილები, დღე-ღამის ბნელ პერიოდში განათებული უნდა იყოს სამშენებლო მოედნების ელექტრული განათების დაპროექტების ინსტრუქციის შესაბამისად. განათებულობა უნდა იყოს თანაბარ-ზომიერი, მომუშავეებზე განათების მოწყობილობა დამაბრმავებლად არ უნდა მოქმედებდეს. გაუნათებელ ადგილებში სამუშაოების წარმოება დაუშვებელია.

24. გადასატანი კიბეები ექსპლუატაციის წინ აუცილებლად უნდა გამოიცადოს საექსპლუატაციო მდგომარეობაში მყოფი კიბის მალის შუაში ერთ-ერთ საფეხურზე მოდებული 1200 H (120 კგ) სტატიკური დატვირთვით.

25. ღიობები გადახურვებში რომლებთანაც შესაძლებელია ხალხის მისვლა, უნდა დაიფაროს მთლიანი ფენილით ან შემოკავდეს.

26. ღია ცეცხლით სარგებლობა დაუშვებელია ისეთი მასალების გამოყენებისა და დაწყობის ადგილიდან 50 მეტრზე ნაკლები რადიუსის ფარგლებში, რომლებიც შეიცავს ადვილადაალებად და აფეთქებასაფრთხიან ნივთიერებებს.

27. 4 მეტრამდე სიმაღლის ხარაჩოები და ფიცარნაგები საექსპლუატაციოდ დაიშვება მხოლოდ სამუშაოთა მწარმოებლის ან ოსტატის მიერ მათი მიღებისა და სამუშაოების ჟურნალში რეგისტრაციის შემდეგ. ხოლო 4 მეტრზე მაღალი-სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დანიშნული კომისიისაგან მიღებისა და აქტით გაფორმების შემდეგ.

ხარაჩოებისა და ფიცარნაგების მიღების დროს შემოწმებული უნდა იქნეს: მდგრადობის უზრუნველყოფის კავშირები და სამაგრების არსებობა: ცალკეული ელემენტების დამაგრების კვანძები, სამუშაო ფენილები და გადაღობვები, დგარების ვერტიკალობა, საყრდენი ბაქნების საიმედოობა და დამიწება (ლითონის ხარაჩოებისათვის).

ხარაჩოებსა და ფიცარნაგებზე ადამიანების ასვლის ადგილებში გამოკრული უნდა იყოს პლაკატები დატვირთვების სიდიდეებისა და განლაგების სქემის აღნიშვნით.

28. ხარაჩოები ექსპლუატაციის პროცესში უნდა დაათვალიეროს სამუშაოთა მწარმოებელმა ან ოსტატმა არანაკლებ, ვიდრე ყოველ 5 დღეში ერთხელ.

29. კიდული ხარაჩოები და ფიცარნაგები მათი მონტაჟის შემდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს დაშვებული საექსპლუატაციოდ, როდესაც 1 საათის განმავლობაში ორივე ნორმატიულზე 20%-ით მეტ სტატისტიკური დატვირთვით გამოცდას გაუძლებს.

30. მისადგმელ კიბეებს უნდა ჰქონდეს არასრიალა მისაყრდენები და ისინი სამუშაო მდგომარეობაში ჰორიზონტალური სიბრტყის მიმართ 70-75^0 კუთხეს ქმნიდეს.

მისადგმელი კიბეების კონსტრუქციები უნდა შეესაბამებოდეს 12.2. 012-75 სახსტანდარტში გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

31. ტვირთსაჭერი საშუალებების (საბმელების, ტრავერსების), სატვირთო კაუჭებს, რომლებსაც სამშენებლო და სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს იყენებენ, უნდა ჰქონდეს დამცველი ჩამკეტი მოწყობილობა, რომელიც ტვირთის თვითნებურ გადმოვარდნას აარიდებს ისინი უნდა იყოს ქარხნული წარმოების.

32. ტვირთის ჩაბმა უნდა შესრულდეს ინვენტარული საბმელებით ან სპეციალური ტვირთსაჭერი მოწყობილობით, რომელსაც ამზადებენ დამტკიცებული პროექტის (ნახაზის) მიხედვით. ჩაბმის მეთოდები უნდა გამორიცხავდეს ჩაბმული ტვირთის ჩამოვარდნის ან დაცურების შესაძლებლობას.

33. სატრანსპორტო საშუალებებზე ტვირთის დაწყობა (დადგმა) უნდა უზრუნველყოფდეს მის მყარ მდგომარეობას ტრანსპორტირების და განტვირთვის დროს.

34. მტვრისებური მასალის (ცემენტი, კირი, თაბაშირი და სხვა) სატვირთავ-გასატვირთავი ოპერაციები უნდა შესრულდეს მექანიზებული წესით. ცემენტის განტვირთვა ხელით დაიშვება გამონაკლისის სახით, როდესაც მისი ტემპერატურა არ აღემატება 40^{0}C-ს.

35. ტვირთამწეებით სამუშაო ადგილზე აგურის, კერამიკული ქვებისა და წვრილი ბლოკების გადაადგილების და მიწოდების დროს, საჭიროა გამოყენებული იქნეს ქვეშები, კონტეინერები და ტვირთსაჭერი მოწყობილობა, რომლებიც გამორიცხავს ტვირთის ვარდნას აწევის დროს.

36. დაუშვებელია 0,75 მ-მდე სისქის გარე კედლების დემონტაჟი კედელზე დგომით მდგომარეობაში.

37. უბანზე (მონაზომზე), სადაც სადემონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს, სხვა სამუშაოების შესრულება და გარეშე პირთა ყოფნა დაუშვებელია.

შენობებისა და ნაგებობების დემონტაჟის დროს აკრძალულია სამუშაოების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის ყოფნასთან სართულების (იარუსების) ერთ სექციაში (მონაზომზე, უბანზე) რომლებზეც წარმოებს ანაკრები კონსტრუქციების ან მოწყობილობის ელემენტების გადაადგილება.

ერთსექციანი შენობების ან ნაგებობების დემონტაჟის დროს სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების ერთდროულად შესრულება, მათ შორის საიმედო (მოქმედი დარტყმით დატვირთვებზე შესაბამისი გაანგარიშებით დასაბუთებული) სართულშუა გადახურვების შემთხვევაში, დასაშვებია მთავარი ინჟინრის წერილობითი განკარგულებით, სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოების უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელების შემდეგ და იმ პირობით, თუ უშუალოდ მუშაობის ადგილზე დემონტაჟის უსაფრთხოდ წარმოებისა და ტვირთის ამწეებით უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის, აგრეთვე მეამწევეს, ჩამბმელისა და მესიგნალის მიერ შრომის დაცვაზე საწარმოო ინსტრუქციების შესრულებისადმი კონტროლის მიზნით სპეციალურად დანიშნული პასუხისმგებელი პირები იქნებიან.

38. აკრძალულია ანაკრები რკინაბეტონის კონსტუქციების აწევა, რომელთაც არა აქვთ სწორი დაჯამბარებისა და მონტაჟის უზრუნველმყოფი სამონტაჟო მარყუჟები და ნაჭდევები.

39. კონსტუქციებისა და მოწყობილობების ელემენტებზე ხალხის ყოფნა მათი აწევის ან გადაადგილების დროს, დაუშვებელია.

40. სამუშაოში შესვენების დროს კონსტუქციებისა და მოწყობილობის აწეულიელი ელმენტების ჩამოკიდებულ მდგომარეობაში დატოვება დაუშვებელია.

41. მედემონტაჟეების გადასავლელად ერთი კონსტრუქციიდან მეორეზე გამოყენებული უნდა იქნეს ინვენტარული კიბეები, გადასავლელი ბაგირები და ტრაპები, არსებული გადაღობვები.

42. დაუშვებელია სადემონტაჟო სამუშაოების შესრულება სიმაღლეზე ღია ადგილებში, როდესაც ქარის სიჩქარე 15 მ/წმ და მეტია, ჭექა-ქუხილის ან ნისლის დროს, როდესაც გამორიცხულია ხილვადობა სამუშაო ფრონტის ფარგლებში.

43. ხალხის ყოფნა სადემონტაჟო კონსტრუქციების ქვეშ დაუშვებელია.

44. სადემონტაჟო სამუშაოების შესრულებამდე აუცილებელია დემონტაჟის ხელმძღვანელ პირსა და მემანქანეს შორის დადგენილი იქნას პირობითი სიგნალების გაცვლის წესი. ყველა სიგნალს მხოლოდ ერთი პირი (მედემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირი, მერგოლური, მეტაკელაჟე-ჩამბმელი) უნდა იძლეოდეს, გარდა სიგნალისა "სდექ", რომელიც შეიძლება მიცემული იქნას ნებისმიერი მომუშავის მიერ, როდესაც აშკარაა საფრთხის შექმნა.

45. დემონტირებული კონსტრუქციების გადაადგილების დროს მანძილი მათ შორის და დამონტაჟებული სხვა კონსტრუქციების გამოწეულ ნაწილებს შორის, უნდა იყოს ჰორიზონტალურად არანაკლებ 1 მ, ვერტიკალურად -0,5 მ.

46. მუშების დაშვება სახურავის სადემონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად შეიძლება სამუშაოთა მწარმოებელის ან ოსტატის მიერ ბრიგადირთან ერთად სახურავისა და გადაღობვების მზიდი კონსტრუქციების გამართულობის დათვალიერების შემდეგ.

47. ადგილები, რომელთა გემოთაც მინის სადემონტაჟო სამუშაოები წარმოებს, აუცილებლად გადაღობილი უნდა იქნეს.

გარდა ზემოთ აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებებისა ასევე მკაცრად უნდა იქნას დაცული საქართველოს მთავრობის №361(27.05.2018წ.) და №477(27.10.2017წ.) დადგენილებებში მითითებული მუხლების მოთხოვნები კერძოდ:

ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ (361).

მუხლი 1. გამოყენების სფერო და ზოგადი დებულებები

1. ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზე: ორგანიზების, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციის, ელექტრო და

აირსაშემდუღებლო, დატვირთვა-დაცლის, საიზოლაციო, მიწის, ბეტონისა და რკინა-ბეტონის, სამონტაჟო, სადემონტაჟო და სხვა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს.

2. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სამუშაოთა წარმოების დროს.

3. სამშენებლო ობიექტზე რამდენიმე ორგანიზაციის ერთდროულად მუშაობისას მშენებლობის უსაფრთხოების საკითხი განხილული უნდა იქნეს ერთობლივად და შეთანხმდეს ძირითად კონტრაქტორ ფირმასთან, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში -დამკვეთთან.

4. სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი უნდა იყოს პასუხისმგებელი ინჟინერი, რომელიც პასუხს აგებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვისათვის.

5. მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს სამშენებლო მოედანზე ყოფნისას უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, ხოლო სპეციალური სამუშაოები უნდა შესრულდეს სათანადო აღჭურვილობის გამოყენებით.

6. მშენებლობის ყველა ობიექტზე უნდა იყოს პირველი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები.

7. სამშენებლო სამუშაოთა წარმოების უბანი და ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრავმატიზმის შესაძლებლობა.

8. სათავსები, სადაც წარმოებს მტვერისებრ u4315 .mასალებთან მუშაობა, ასევე, სამსხვრევ, საფქვავ და გასაცრელ მანქანებთან მუშაობის ადგილები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავენტილაციო სისტემებით ანგანიავებით, ხოლო მუშები მუშაობისას უნდა იყენებდნენ რესპირატორებს.

9. მტვრისებრი მასალები უნდა ინახებოდეს დახურულ საცავებში ან სათავსებში. დატვირთვა-დაცლის სამუშაოთა წარმოების დროს უნდა იქნეს მიღებული ზომები მათი გაფანტვისა და გამტვერვის თავიდან ასაცილებლად.

10. მავნე ან აფეთქებასაშიში გამხსნელი მასალები აუცილებლად უნდა ინახებოდეს ჰერმეტულად დახურულტარაში.

მუხლი 2. სამშენებლო მოედნის ორგანიზება

1. სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება.

2. სამშენებლო მოედანი დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ ან მოქმედი საწარმოს ტერიტორიაზე უნდა იქნეს შემოღობილი, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა. შემოღობვა ხალხის მოძრაობის ადგილებში

გადახურული უნდა იყოს ისეთი დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/და გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. იმავე წესით უნდა შემოიღობოს სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ტერიტორია.

3. ჭები, შურფები, ნათხარ გრუნტებში ხალხის შესაძლო მოხვედრის ადგილები დახურული უნდა იყოს

ხუფებით, ფარებით ან უნდა იყოს შემოღობილი. ლიფტების შახტები, კიბეების უჯრედები და სხვა ღიობები, სადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადამიანთა მოხვედრას, დახურული უნდა იყოს მთლიანი ფენილით ან უნდა იყოს შემოღობილი. სიბნელის დროს გარე (პერიმეტრული) შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში.

4. ღამის საათებში მუშაობის შემთხვევაში, სამშენებლო მოედანი, სამუშაო უბანი, გასასვლელები და მისასვლელები სათანადოდ უნდა იყოს განათებული.

5. სამშენებლო მოედანზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებით და სათანადო წარწერებით.

6. მავნე აირების წარმოქმნისას, სამუშაოთა წარმოება დასაშვებია მხოლოდ სამუშაო ადგილის განიავების ან მომუშავეთა მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით.

7. ჭებში, შურფებში ან დახურულ სათავსებში, სადაც არსებობს გაზების დაგროვების საშიშროება, სამუშაოები უნდა შესრულდეს აირწინაღების გამოყენებით.

8. ერთ ვერტიკალზე სამუშაოთა შეთავსების შემთხვევაში, ქვემოთ განლაგებული სამუშაო ადგილები დაცული უნდა იყოს სათანადო დამცავი საშუალებებით (ფენილი, ბადე, საფარი).

9. მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობების სამშენებლო მოედანზე განთავსებისას მიღებულ უნდა იქნეს ზომები მათი ჩამოცურების, ჯდენის, ჩამოცვენის და გაშლის საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

10. სამუშაო ადგილებზე, სადაც გამოიყენება ან მზადდება წებოები, მასტიკები, საღებავები და სხვა მასალები, რომლებიც გამოყოფენ ფეთქებადსაშიშ ან მავნე ნივთიერებებს, არ დაიშვება ცეცხლის გამოყენება ან ნაპერწკლის წარმომშობი მოქმედებები. ასეთი სამუშაო ადგილები უნდა ნიავდებოდეს.

მუხლი 3. ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაცია

1. მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლოატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით.

2. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება.

3. ხარაჩოები უნდა დაიდგას სამუშაოთა წარმოების პროექტის შესაბამისად და დატვირთვების ამტანუნარიანობის გათვალიწინებით, მათი მდგრადობის უზრუნველყოფით. ქარხნული წესით დამზადებული ხარაჩოების დაყენება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის ინსტრუქციის გათვალისწინებით.

4. შენობაზე მიდგმული ხარაჩოების დაშლის დროს პირველი სართული, ყველა კარის ღიობი და ზედა სართულიდან აივანზე ყველა გამოსასვლელი (დასაშლელი უბნის ფარგლებში) u4323 .ნდა კონტროლდებოდეს.

5. სამუშაო ბაქნის არმქონე მისადგმელი კიბეები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მშენებარე ნაგებობის იარუსიდან იარუსზე გადასასვლელად და ისეთი მარტივი სახის სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც არ მოითხოვს შემსრულებლისათვის კიბის კონსტრუქციაზე დამატებითი საყრდენის არსებობას.

6. სამშენებლო-სამონტაჟო ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება მასალების დამაგრებისათვის უშუალოდ ბეტონზე, აგურის წყობასა და ფოლადის კონსტრუქციაზე (მაგალითად: სამშენებლო–სამონტაჟო დამბაჩები), უნდა აღიჭურვოს დამცავი მოწყობილობით, ხოლო ოპერატორი – სმენისა და მხედველობის დამცავი საშუალებებით, ჩაფხუტით და დაზღვეულ უნდა იქნეს დამბაჩის უკუცემით გამოწვეული წონასწორობის დარღვევის შედეგად სამუშაო ადგილიდან გადმოვარდნისაგან.

7. დისკოიანი სამშენებლო ინსტრუმენტები უნდა იყოს აღჭურვილი დამცავი გარსაცმით.

მუხლი 4. სამშენებლო მანქანა–მექანიზმების ექსპლუატაცია

1. მანქანა–მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

2. მანქანა–მექანიზმების მუშაობის ზონაში უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები.

3. სამშენებლო მოედანზე მანქანა–მექანიზმების განლაგების ადგილი განისაზღვრება პროექტით. ელექტროამძრავიანი მექანიზმების ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს დადგენილი წესების შესაბამისად.

4. ელექტროამძრავიანი მანქანა–მექანიზმების ტექნიკური მომსახურების დროს მიღებულ უნდა იქნეს ზომები ძაბვის უკონტროლო ჩართვის თავიდან ასაცილებლად.

5. მანქანის რთულ პირობებში გადაადგილებისას (დამრეცი გზები, დიდი ქანობები, ნისლი, მოყინული გზები, დიდთოვლობა, რკინიგზის გადასასვლელები და სხვა) წინასწარ უნდა განისაზღვროს შესაძლო შედეგები და მიღებულ იქნეს სათანადო პრევენციული ზომები.

მუხლი 5. დატვირთვა–დაცლის სამუშაოები

1. ტვირთის ჩაბმა ასაწევად არ უნდა მოხდეს თვითნაკეთი ჩასაბმელით და უნდა განხორციელდეს ამწე მექანიზმის ქარხნული ჩასაბმელით ან ტვირთის ჩასაბმელი სპეციალური მოწყობილობით. ჩაბმის ხერხი უნდა გამორიცხავდეს ტვირთის ვარდნის ან სრიალის შესაძლებლობას.

2. სატრანსპორტო საშუალებებზე ტვირთის დადგმა (დაწყობა) უნდა უზრუნველყოფდეს მათ მდგრად მდგომარეობას ტრანსპორტის მოძრაობის დროს და კონტროლირებად გადაადგილებას დაცლის დროს.

3. პანელების, ბლოკებისა და რკინა–ბეტონის სხვა კონსტრუქციების სამონტაჟო მარყუჟი დატვირთვა–დაცლის სამუშაოთა დაწყებამდე უნდა შემოწმდეს და გასწორდეს ისე, რომ არ დაზიანდეს კონსტრუქცია.

4. ავტომანქანის ამწევი მექანიზმებით დატვირთვისას როგორც მძღოლს, ისე სხვა პირებს ეკრძალებათ მანქანის კაბინაში ყოფნა, თუ ამ უკანასკნელს არა აქვს დამცავი საფარი.

მუხლი 6. მიწის სამუშაოები

1. მიწის სამუშაოების დაწყებამდე უნდა დადგინდეს მოქმედი მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროკაბელები, გაზსადენები) განლაგების ადგილები.

2. მიწისქვეშა კომუნიკაციების ზონაში მიწის სამუშაოები უნდა წარმოებდეს პასუხისმგებელი პირის დასწრებით, ხოლო მოქმედი კაბელის ან გაზსადენის განლაგების ზონაში მათი დაზიანების თავიდან ასაცილებლად, საჭიროების შემთხვევაში – ქსელების ოპერატორი კომპანიის წარმომადგენლის მეთვალყურეობით.

3. აფეთქებით გრუნტის დამუშავებისას დაცული უნდა იყოს საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

მუხლი 9. ბეტონისა და რკინა–ბეტონის სამუშაოები

1. სამშენებლო მოედანზე ბეტონის მოსამზადებლად გამოყენებული ბეტონსამრევებისა და სხვა ტექნიკური

საშუალებების გამოყენება უნდა განხორციელდეს მათი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის მწარმოებლის მიერ
დადგენილი წესებით.

2. სამშენებლო მოედნებზე ლენტური კონვეიერის გამოყენებისას, თუ ლენტი მთლიანად არაა დახურული,
ლენტიდან მასალების გადმოვარდნის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაიდგას ფარები.

3. ყალიბების რამდენიმე იარუსად დაყენებისას, ყოველი მომდევნო იარუსი დაყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ
წინა იარუსის დამაგრების შემდეგ.

4. ყალიბებზე მასალების დაწყობა და ყალიბის საფენებზე მომუშავეთა ყოფნა, რომლებიც უშუალოდ არ
მონაწილეობენ სამუშაოთა წარმოებაში, დაუშვებელია.

5. ბეტონის ნარევის ელექტროვიბრატორით შემკვრივების დროს უნდა გამოირიცხოს დენგამტარის
იზოლაციის დაზიანება.

მუხლი 10. სამონტაჟო სამუშაოები

1. სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დაწყებამდე საჭიროა მონტაჟის წარმოების ხელმძღვანელსა და მემანქანეს შორის პირობითი სიგნალის შეთანხმება.

2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სრულდება რთული სამონტაჟო სამუშაოები (კონსტრუქციის ან დანადგარების აწევა ორი ამწეთი, ჰაერში შემობრუნებით და სხვა), სიგნალს იძლევა მხოლოდ სამონტაჟო ჯგუფის უფროსი უსაფრთხოების ტექნიკის დაცვისათვის პასუხისმგებელი საინჟინრო–ტექნიკური პერსონალის თანდასწრებით.

3. სამშენებლო კონსტრუქციის აწევა დასაშვებია მხოლოდ გვარლზე მიმაგრებული მარყუჟის ან ტრავერსის ჩაბმით. ამწის მემანქანესა და მემონტაჟეს შორის უნდა არსებობდეს კომუნიკაციის საშუალება.

4. მუშების ყოფნა კონსტრუქციისა და დანადგარის ელემენტებზე მათი გადაადგილების დროს სასტიკად აკრძალულია.

5. შენობა–ნაგებობათა ყველა მომდევნო იარუსის (უბნის) კონსტრუქციების მონტაჟი უნდა განხორციელდეს წინა იარუსის (უბნის) პროექტით გათვალისწინებული მდგრადობის უზრუნველმყოფელი ყველა ელემენტის დამაგრების შემდეგ.

6. საპროექტო მდგომარეობაში დაყენებული კონსტრუქციებისა და დანადგარების ელემენტების ჩახსნა უნდა განხორციელდეს მათი დროებით ან მუდმივად საიმედო დამაგრების შემდეგ.

7. მემონტაჟეების ერთი კონსტრუქციიდან მეორეზე გადასასვლელად გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალურად ამ მიზნებისათვის დამზადებული კიბეები, შემოღობვის (ზღუდარის) მქონე გადასასვლელი ბოგირები (ხიდები) და ტრაპები.
8. დაუშვებელია სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება სიმაღლეზე ღია ადგილებში ქარის 15 მ/წმ და მეტი სიჩქარის, ჭექა–ქუხილისა და ნისლის დროს, როდესაც სამუშაო ფრონტის ფარგლებში მხედველობა შეზღუდულია. პანელებისა და მათი მსგავსი კონსტრუქციების გადაადგილება და მონტაჟი 10 მ/წმ და მეტი სიჩქარის ქარის დროს უნდა შეწყდეს.
9. სამუშაოთა შეწყვეტისას კონსტრუქციის ელემენტებისა და დანადგარების დატოვება დაკიდებულ მდგომარეობაში დაუშვებელია.
10. თუ მომუშავეთა ყოფნა კონსტრუქციებისა და დანადგარების ქვეშ მათი დაყენების დროს აუცილებელია, მაშინ უნდა განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მომუშავეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
11. მოქმედი საწარმოს პირობებში, სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას, ექსპლუატაციაში მყოფი ელექტროქსელი და სამუშაო ზონაში განლაგებული სხვა მოქმედი საინჟინრო სისტემები, როგორც წესი, გამორთული უნდა იყოს.
12. 5 მ–ზე მეტ სიმაღლეზე ასასვლელი, აგრეთვე ამწის კაბინაში ასასვლელი 5 მ–ზე მეტი სიმაღლის ლითონის კიბეები შემოფარგლული უნდა იყოს ვერტიკალური კავშირების მქონე ლითონის რკალით და საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული კონსტრუქციასთან ან ამწის ტანთან.
13. შენობებისა და ნაგებობების კონსტრუქციების მონტაჟისას, მემონტაჟეები უნდა იმყოფებოდნენ ამ სამუშაოს შესასრულებლად წინასწარ დაყენებულ და საიმედოდ დამაგრებულ კონსტრუქციებზე ან ხარაჩოებზე.
14. დამონტაჟებულ კიბის მარშზე მაშინვე უნდა მოეწყოს შემოღობვა.

15. რულონური ნამზადიდან u4314 .ითონკონსტრუქციების მონტაჟისას, მიღებულ უნდა იქნეს რულონის თვითნებური უკუდახვევის საწინააღმდეგო ზომები.
16. აფეთქებასაშიშ გარემოში დანადგარების დამონტაჟებისას გამოყენებული უნდა იყოს ინსტრუმენტი, რომელიც გამორიცხავს ნაპერწკლის წარმოქმნას.
17. დანადგარების მონტაჟისას გამორიცხული უნდა იყოს მისი შემთხვევითი ან თვითნებური ჩართვა.
18. კონსტრუქციების ან დანადგარების რამდენიმე ამწით ან გამწევი მექანიზმით გადაადგილებისას გამორიცხული უნდა იყოს რომელიმე მათგანის გადამეტტვირთვა.

19. დომკრატის გამოყენებით მონტაჟისას მიღებული უნდა იყოს დომკრატის გადახრის და გადაყირავების გამომრიცხავი ზომები.
20. კონსტრუქციის (მოწყობილობის) დაშვებისას დახრილ სიბრტყეზე საჭიროა გამოყენებული იყოს
სამუხრუჭე საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაშვების სიჩქარის რეგულირებას.
21. მილსადენებისა და ჰაერსადენი მილების მონტაჟი ელექტროგადამცემი ხაზის სიახლოვეს უნდა წარმოებდეს გამორთული ძაბვის დროს. თუ ძაბვის გამორთვის საშუალება არ არსებობს, სამუშაო უნდა შესრულდეს შესაბამისი უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით.
22. დამონტაჟებული დანადგარების მიერთება მოქმედ სისტემებთან (ელექტრული, ორთქლის, ტექნოლოგიური და სხვა) უნდა განხორციელდეს სისტემების მფლობელი კომპანიის მიერ დადგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად.
23. სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ექსპლუატაციაში მყოფი ელექტროქსელი უნდა გამოირთოს.
მუხლი 11. გადახურვის სამუშაოები
1. გადახურვის სამუშაოებზე მუშების დაშვება შეიძლება მას შემდეგ, რაც შემოწმდება სახურავის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა.
2. მასალების დაწყობა სახურავზე დასაშვებია სამუშაოთა წარმოების პროექტით გათვალისწინებულ ადგილებში. ამასთანავე, მიღებულ უნდა იქნეს მათი გადმოვარდნის (მათ შორის, ქარის ზემოქმედებით) საწინააღმდეგო ზომები.
3. სამუშაოს შეწყვეტის ან/და შეჩერების დროს ტექნოლოგიური მოწყობილობა, ინსტრუმენტი და მასალები უნდა დამაგრდეს ან აღებულ იქნეს სახურავიდან.
4. სახურავის მოწყობის სამუშაოთა შესრულება დაუშვებელია მხედველობის შემზღუდავი ნისლისა და ქარის 15 მ/წმ და მეტი სიჩქარის დროს.
5. ცეცხლსაშიში მასალებით სახურავის მოწყობისას, საჭიროა დაცული იქნეს უსაფრთხოების სათანადო მოთხოვნები.
6. საიზოლაციო რულონური u4315 .ასალის გამოყენებისას, თუ სამუშაო წარმოებს ღია ცეცხლის გამოყენებით, მუშებს უნდა ეცვათ სპეცტანსაცმელი და სხეულის ღია ნაწილების დამცავი საშუალებები.
მუხლი 12. საიზოლაციო სამუშაოები
1. საიზოლაციო სამუშაოების შესრულებისას (ჰიდროიზოლაცია, თბოიზოლაცია, ანტიკოროზიული დაცვა), ცეცხლსაშიში და მავნე ნივთიერებების გამომყოფი მასალებით

მომუშავეები დაცული უნდა იყვნენ მავნე ნივთიერებების თერმული და ქიმიური ზემოქმედებისაგან.

2. ბიტუმის მასტიკის მოხარშვა და გაცხელება უნდა წარმოებდეს ტექნოლოგიური პროცესისა და ექსლუატაციის წესების დაცვით.

3. მინაბამბა და წიდაბამბა სამუშაო ადგილზე უნდა მიეწოდოს მათი გაბნევის გამომრიცხავი პირობების დაცვით.

4. ასაკრავი საიზოლაციო რულონური მასალების გამოყენებისას, თუ აკვრა წარმოებს ღია ცეცხლის გამოყენებით, სამუშაოს შემსრულებელი მუშები სხეულის დაზიანების თავიდან ასაცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სპეცტანსაცმლით და სხეულის ღია ნაწილების დამცავი საშუალებებით (ხელთათმანები, სათვალეები და სხვა).

მუხლი 13. მოპირკეთების სამუშაოები

1. ლესვის ან სამღებრო სამუშაოების შესრულებისას, მოხარაჩოების საშუალებები ისე უნდა მოეწყოს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადამიანთა დაზიანება.

2. დუღაბტუმბოების გამოყენებით შესალესი სამუშაოების წარმოებისას, უნდა არსებობდეს ორმხრივი კავშირი ოპერატორსა და დანადგარის მემანქანეს შორის.

3. სამშენებლო მოედანზე სამღებრო ნაზავის დამზადება უნდა წარმოებდეს ისეთი ვენტილაციის მქონე სათავსში, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრული დასაშვები კონცენტრაციის გადაუჭარბებლობას.

4. ნიტროსაღებავების და სხვა ფეთქებადი ორთქლის წარმომქმნელი ლაქსაღებავების გამოყენების ადგილებში აკრძალულია ცეცხლის გამოყენება და ნაპერწკალწარმომქმნელი მოქმედებების შესრულება.

5. აფეთქებასაშიში მასალების (ლაქები, ნიტროსაღებავები და სხვა) ტარა სამუშაოს შეწყვეტის ან შეჩერების პერიოდში უნდა დაიკეტოს საცობით ან სახურავით.

6. საზოგადოებრივი ადგილები, რომელთა ზევითაც სრულდება შემინვის სამუშაოები, უნდა იყოს შემოღობილი საფარი ფენილის მქონე ღობეებით.

7. მინის გადატანა მისი დაყენების ადგილზე უნდა ხდებოდეს უსაფრთხოების დაცვის სათანადო ღონისძიებათა განხორციელებით.

მუხლი 14. ელექტროსამონტაჟო სამუშაოები

1. ნებისმიერ ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დროს, უნდა განხორციელდეს გაუთვალისწინებელი ჩართვის (წრედის დამცველები უნდა მოიხსნას) ან გამორთვის თავიდან აცილების ღონისძიებები.

2. ელექტრული წრედისა და აპარატურის გამოსაცდელად დენის მიწოდებისას საჭიროა დაცული იქნეს შესაბამისი წესები.

3. კაბელური ხაზების გაყვანისას საჭიროა დაცული იქნეს კაბელების გაყვანის პროექტით გათვალისწინებული წესები. ექსპლუატაციაში მყოფი კაბელის გაყვანა დასაშვებია მხოლოდ მისი გამორთვისა და დამიწების შემდეგ.

4. ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების მონტაჟისას, სავალდებულოა ელექტროგადამცემი ხაზების დამონტაჟებული უბნების დამიწება.

მუხლი 15. ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოები

1. სამშენებლო მოედნებზე ელექტროტექნიკური მოწყობილობების გამოყენებამდე საჭიროა იზოლაციის შემოწმება, ხოლო გამოყენებისას – ექსპლუატაციის წესების დაცვა. მუშებს უნდა ჰქონდეთ სხეულის ღია ნაწილების დამცავი საშუალებები.

2. ელექტროშესადუღებელ აპარატებსა და მათ მკვებავ წყაროებში გათვალისწინებული და დაყენებული უნდა იყოს ძაბვის ქვეშ მყოფი ელემენტების საიმედო შემოღობვა.

3. წვიმისა და თოვლის დროს, ელექტროშედუღების სამუშაოთა შესრულება გადახურვის გარეშე დაუშვებელია.

4. კონსტრუქციის ელემენტების ჭრისას, მიღებულ უნდა იქნეს მათი ჩამოვარდნის საწინააღმდეგო ზომები.

5. დახურულ სათავსში, ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოების შესრულების დროს, სამუშაო ადგილები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვენტილაციით ან განიავებით.

6. ჭურჭელი, რომელშიც მოთავსებული იყო წვადი სითხეები ან მჟავები, შედუღებამდე (ჭრამდე) უნდა გაიწმინდოს, გამოირეცხოს, გაშრეს და შემოწმდეს, რომ არ შეიცავდეს მავნე ნივთიერებების საშიშ კონსისტენციას.

7. ჩაკეტილი დახურული ტევადობის შიგნით ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოს ერთდროულად შესრულება დაუშვებელია.

8. გაზის ბალონების გადაზიდვა, შენახვა, მიღება და გადაცემა უნდა განხორციელდეს საექსპლუატაციო წესების დაცვით.

9. გაზის ბალონები დაცული უნდა იყოს დარტყმითი და მზის სხივების პირდაპირი მოქმედებისაგან, გამთბობი ხელსაწყოდან დაშორებული u4323 .ნდა იყოს 1 მ–ზე მეტი მანძილით.

10. გაზის ბალონები უნდა ინახებოდეს სპეციალურ მშრალ და განიავებად სათავსებში. ცარიელი და გაზით სავსე ბალონები უნდა ინახებოდეს ცალ–ცალკე. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, გაზიანი ბალონები უნდა ინახებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, სადაც უცხო პირთა შესვლა გამორიცხულია. გადასატანი გენერატორი უნდა

გათავისუფლდეს კალციუმის კარბიდისაგან და გადატანილ უნდა იქნეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

11. ჟანგბადის ბალონების ექსპლუატაციის, შენახვისა და გადაადგილების დროს, უნდა განხორციელდეს
ღონისძიებები, რათა არ მოხდეს ბალონის შეხება საცხებ მასალებთან ან ზეთის ლაქის მქონე ტანსაცმელსა და
ჩვრებთან.

12. დაუშვებელია აცეტილენის გენერატორების მოთავსება ხალხის მასობრივად ყოფნის ან გასასვლელ ადგილებში, აგრეთვე, კომპრესორებით ან ვენტილატორებით ჰაერის აღების ადგილებში.

13. დაუშვებელია წნევის ქვეშ მყოფი დანადგარების საწვავითა და მავნე ნივთიერებებით შევსებული მილსადენების შედუღება, ჭრა და გაცხელება.

მუხლი 16. მიწისქვეშა სამუშაოები

1. მიწისქვეშა სამუშაოთა წარმოების დროს, ყველა უბანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ავარიის ლიკვიდაციისათვის საჭირო ინსტრუმენტების, მასალების, ხანძრის ჩასაქრობი საშუალებების მარაგით.

2. ჭაურის გაყვანისას სანგრევში მყოფი მუშები ზემოდან საგნის ვარდნისაგან დაცული უნდა იყვნენ სპეციალური დამცავი ფარით.

3. მიწისქვეშა სამუშაოთა წარმოებისას გამოყენებული ყველა ელექტრომოწყობილობა, აფეთქებასაშიში პირობების არსებობისას, დამზადებული უნდა იყოს არაფეთქებადი მასალისაგან.

4. შახტებისა და გვირაბების მუშა და ავარიული ელექტროგანათება უნდა განხორციელდეს სხვადასხვა დენის წყაროებიდან.

5. შახტისა და გვირაბების გაყვანისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადგილობრივი ვენტილაცია შედუღებისა და სხვა სამუშაოების შესრულებისას გამოყოფილი მავნე ნივთიერებებისგან დასაცავად.

6. დაწნეხის მეთოდით მილის ჰორიზონტალური გაყვანის დროს მილის შიგნით გრუნტის ხელით დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამორიცხულია სანგრევში გაზის ან წყლის მოდინება. მილში მყოფ მუშებთან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორმხრივი კავშირი.

მუხლი 18. პასუხისმგებლობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის

ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად.

ტექნიკური რეგლამენტი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ(№ 477).

1

მუხლი 1. გამოყენების სფერო და ზოგადი დებულებები

1. ტექნიკური რეგლამენტი – სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) განსაზღვრავს სიმაღლეზე სამუშაოების შესრულებისას ძირითად მოთხოვნებსა და პრევენციული ღონისძიებების ზოგად პრინციპებს იმ სამუშაოებზე, სადაც არსებობს 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე (მათ შორის, ჭები, ღიობები, ნათხარი გრუნტები და ა.შ.).

2.ტექნიკური რეგლამენტი აწესებს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ვალდებულებებს,რომელიცდაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან.

მუხლი 2. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობა და კონტროლი

1. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოები და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისადასოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი.

2. სამშენებლო მოედნებზე ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა წარმოადგენს მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:ა)სამაშველო გეგმა – სამუშაო პროცესში მომხდარი ინციდენტისას თანმიმდევრულად განსახორციელებელ სამაშველო ღონისძიებათა ნუსხა, რომლის მიზანია შეამციროს სამაშველო ღონისძიებათა განხორციელებისას დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზიანებისრისკიდაუზრუნველყოს სამაშველო ღონისძიებების სწრაფად, უსაფრთხოდ და ეფექტურად ჩატარება;

ბ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები – ტექნიკური და სხვა საშუალებები,

რომლებიც გამოიყენება ინდივიდუალურად, დასაქმებულებზე საფრთხის შემცველი ფაქტორების ზეგავლენის შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად;

გ) კოლექტიური დაცვის საშუალებები – ტექნიკური და საინჟინრო საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც კონსტრუქციულად და ფუნქციურად დაკავშირებულია საწარმოო გარემოსა და შრომის პროცესთან და განკუთვნილია საფრთხის შემცველი ფაქტორების თავიდან აცილებისათვის ან შემცირებისათვის;

დ) შრომის უსაფრთხოების გეგმა ამ ტექნიკური რეგლამენტითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების გათვალისწინებით შემუშავებული ღონისძიებათა ნუსხა, რომლის მიზანია სიმაღლეზე სამუშაოს შესრულებისას ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული პრინციპების განსაზღვრა.

მუხლი 4. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ვალდებულებები

1. დამსაქმებელი ვალდებულია, სამუშაოს დაწყებამდე ან/და დასაქმებულთა სამუშაოზე დაშვებამდე მოახდინოს საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება და მიიღოს შესაბამისი პრევენციული ზომები.
2. დამსაქმებელი ვალდებულია, შეიმუშაოს სამაშველო გეგმა.
3. დამსაქმებელი ვალდებულია, გამოყოს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ობიექტზე სიმაღლეზე სამუშაოების განხორციელებისას დაიცავს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.
4. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, თავის მხრივ, ვალდებულია:
ა) შეაფასოს სამუშაო ადგილი და განსაზღვროს ვარდნის საშიშროება;
ბ) შეაფასოს რა სახის კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული;
გ) შეაფასოს უშუალოდ სამუშაო პროცესი, რამდენად დაცულია დასაქმებული სიმაღლიდან ვარდნასთან დაკავშირებული საფრთხისგან;
დ) უზრუნველყოს დასაქმებულთა შესაბამისი სწავლება, საჭიროებიდან გამომდინარე;
ე) დარწმუნდეს იმაში, რომ დასაქმებულები სამუშაოს შესრულებისას მოქმედებენ კანონმდებლობის შესაბამისად;
ვ) უზრუნველყოს კონტროლი კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენებაზე;
ზ) შეიმუშაოს შრომის უსაფრთხოების გეგმა.
5. დასაქმებული ვალდებულია:ა) გაეცნოს და იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების გეგმით გაწერილი ნორმებით;
ბ) შეამოწმოს დამცავი საშუალებების ყველა ნაწილი (ღვედი, ჩამკეტი, ქამარი და ა.შ.);
გ) შეატყობინოს ზედამხედველს სიმაღლიდან ვარდნასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის საფრთხის შესახებ;
დ) მიმართოს ზედამხედველს სიმაღლიდან ვარდნასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

ე) შეატყობინოს დამსაქმებელს/შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს ნებისმიერი ინციდენტის შესახებ;
ვ) განკარგოს/გამოიყენოს ყველა ის აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება სიმაღლიდან ვარდნის თავიდან ასაცილებლად.
მუხლი 5. მოთხოვნები დამცავი მოაჯირების მოწყობისა და ექსპლუატაციის მიმართ და მცავი მოაჯირების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) დამცავი მოაჯირი/მოაჯირები/სახელურები უნდა დამონტაჟდეს ყველგან, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის პოტენციური საფრთხე;

ბ) მოაჯირი უნდა შედგებოდეს ვერტიკალური, საყრდენი, ზედა და შუა ჰორიზონტალური ძელებისგან. მოაჯირის ძირზე (სამუშაო პლატფორმაზე) უნდა იყოს დამონტაჟებული მინიმუმ 10 სმ-ის სიმაღლის ქვედა ჰორიზონტალური ძელი სხვადასხვა საგნის ან ხელსაწყოს ვარდნის თავიდან ასაცილებლად. შუა ჰორიზონტალური ძელი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე. მყარი მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს სამუშაო ზედაპირიდან 90-120 სმ;
გ) შუაძელები და ბადეები უნდა დამონტაჟდეს ზედა ძელსა და სამუშაო ზედაპირს შორის:

გ.ა) შუაძელის არარსებობის შემთხვევაში, არსებული მოაჯირის მთლიანი პერიმეტრი შემოსაზღვრული უნდა იყოს სამშენებლო საცერი ბადეებით;

გ.ბ) ერთმანეთის გადამკვეთი ძელები შესაძლოა გამოყენებული იყოს შუალედური ძელის ნაცვლად იმ შემთხვევაში, თუ გადამკვეთი ძელების გადაკვეთის წერტილი არის სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე;

გ.გ) მოაჯირების ჰორიზონტალური ძელები დამაგრებული უნდა იყოს საყრდენი ბოძების შიდა მხარეს;

გ.დ) ვერტიკალური საყრდენი ძელების გამოყენებისას მათ შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 50 სმ-ს;

გ.ე) მოაჯირი უნდა უძლებდეს 5 სმ-ის დისტანციიდან არანაკლებ 90 კგ ტვირთის მიწოლით დატვირთვას, რა დროსაც მოაჯირის გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 10 სმ-ს;

გ.ვ) მოაჯირზე ბადეები და სხვა დამცავი საშუალებები ისე უნდა იყოს დამონტაჟებული,რომ არ გამოიწვიოს დასაქმებულთა დაზიანება (დასერვა, თითების მოყოლა) და ტანისამოსზე გამოდება;

გ.ზ) მოაჯირების დაბოლოებები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ არ გამოიწვიოს ადამიანის დაზიანება;

გ.თ) დაუშვებელია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ძელების ერთმანეთზე დამაგრება ფოლადის ან პლასტმასის არტახებით;

გ.ი) მოაჯირის ზედა და შუა ძელები უნდა იყოს ძლიერი და გამძლე მასალისგან დამზადებული, მინიმუმ 60 მმ-ის დიამეტრის ან სისქის, რათა გამოირიცხოს მათი გაჭრა ან/და გაგლეჯა. თუ გამოყენებულია ლითონის ბაგირი, ყოველ 180 სმ-ში უნდა დამონტაჟდეს თვალისთვის ადვილად აღსაქმელი ყვითელი ფერის მაფრთხილებელი ალმები;

გ.კ) თუ მოაჯირის სისტემები გამოიყენება ხვრელების გარშემო, რომლებიც განკუთვნილია მისასვლელი ადგილებისთვის (კიბით ჩასასვლელი), ასეთი ხვრელები აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური საფარით ან იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ არ მოხდეს ადამიანის მარტივად შეღწევა;

გ.ლ) როდესაც დამცავი მოაჯირი გამოიყენება ღიობებთან, ღიობების ყველა მხარე უნდა იყოს დაფარული;

გ.მ) როდესაც ღიობები გამოიყენება ტვირთის სამოძრაო ადგილად, გამოყენებული უნდა იქნეს მობილური მოაჯირები. იმ შემთხვევაში, თუ ღიობი არის გამოუყენებელი, იგი უნდა იყოს აუცილებლად დაფარული მთლიანი ფენილით;

გ.ნ) ნებისმიერ ღიობთან ახლოს მდებარე პანდუსი ან დაქანებული ადგილი, რომელიც გამოიყენება ადამიანის სავალ ბილიკებად, უნდა იყოს მოაჯირებით შემოსაზღვრული;

გ.ო) თუ მოაჯირის ზედა ნაწილი შედგება მანილის, პლასტმასის ან სინთეტიკური ბაგირისგან, აუცილებელია მისი შემოწმება საჭირო პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ, რათა დადასტურდეს, რომ ის უძლებს 5 სმ-ის დისტანციიდან არანაკლებ 90 კგ-ის მიწოლით დატვირთვას;

გ.პ) მოაჯირი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმის კიდიდან არანაკლებ 10 სმ-ის მანძილისა.

მუხლი 6. ზოგადი მოთხოვნები ხარაჩოების მოწყობისა და ექსპლუატაციის მიმართ

1. ხარაჩოები უნდა იყოს სწორად დაპროექტებული, ქარხნულად დამზადებული და მოვლილი, რათა გამოირიცხოს მათი ჩამოშლა ან შემთხვევითი გამოძრავება.
2. ხარაჩოების მოაჯირები უნდა იყოს 90-120 სმ-ის სიმაღლის. მოაჯირის ზედა ძელი უნდა უძლებდეს 5 სმ-ის დისტანციიდან არანაკლებ 90 კგ-ის მიწოლით დატვირთვას.
3. დაუშვებელია ხარაჩოს აღმართვა, შეცვლა ან მოხსნა პასუხისმგებელი პირის ან მის მიერ დანიშნული პირის ზედამხედველობის გარეშე. ზედამხედველ პირს უნდა გააჩნდეს შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია. ხარაჩოს გამოყენებული მასალები გამოყენებამდე ყოველ ჯერზე უნდა მოწმდებოდეს.

4. ნებისმიერი სახის ხარაჩო და მასთან დაკავშირებული ყველა დეტალი უნდა იყოს დამზადებული მყარი და სათანადო მასალებისგან. ხარაჩოში გამოყენებული ლითონის დეტალები და აღჭურვილობა უნდა იყოს დამზადებული შესაბამისი მასალისგან. არ უნდა იყოს გაცვეთილი და არ უნდა გააჩნდეს აშკარა დეფექტები. ხარაჩოებში, მისადგამ და დასაკეც კიბეებში გამოყენებული ხის მასალა არ უნდა იყოს შეღებილი ან დაფარული სხვა მასალით.
5. სამუშაო პლატფორმები, წანწალები და ხარაჩოების კიბეები უნდა იყოს ისეთი ზომისა და კონსტრუქციის, რომ დასაქმებულები დაცული იყვნენ ჩამოვარდნისა და ჩამოცვენილი საგნებისგან. აკრძალულია უხარისხო/დეფექტური ბაგირების გამოყენება.
6. ხარაჩოების საყრდენები/ბოძები უნდა იყოს:

ა) პერპენდიკულარული;

ბ) რაც შეიძლება ახლოს განლაგებული ერთმანეთთან, ხარაჩოების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ბოძებს შორის დაშორება 3 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს.

7. დაუშვებელია ბოძების დაცურება, ნიადაგში ჩაფლობა ან ნებისმიერი სახის მოძრაობა.
8. შემაკავშირებელი კოჭები უნდა იყოს ჰორიზონტალურად განლაგებული და ბოძებზე მყარად დამაგრებული. პლატფორმის ასაგებად გამოყენებული ფიცრები მყარად უნდა იყოს დამაგრებული შემაკავშირებელ კოჭებზე ან ბოძებზე. როდესაც ფიცრების ან შემაკავშირებელი კოჭების ერთი მხარე კედელს ეყრდნობა, ბოლოები კედელზე მყარად და შესაბამისი წესით უნდა იყოს მიმაგრებული.
9. ნებისმიერი სახის ხარაჩო უნდა იყოს გამყარებული საკმარისი რაოდენობისა და შესაბამისი სახის საბჯენი ან ჯვარედინი ბოძების მეშვეობით. ის აღჭურვილობა, რომელსაც ხარაჩო დაეყრდნობა, უნდა იყოს საკმარისად მყარი, სათანადო და უსაფრთხო.
10. აკრძალულია ხარაჩოების ასაგებად ან საყრდენად აგურების, კანალიზაციის მილების, ხის გალიების, ყუთების ან სხვა არასათანადო და არამყარი მასალების გამოყენება.
11. იმ შემთხვევაში, თუ შენობის ნაწილი ან სხვა ნაგებობა ხარაჩოს ან დასაკეცი კიბის საყრდენად გამოიყენე-ბა, აღნიშნუ-ლი შენობა/ნაგებო-ბა საკმარი-სად მყარი და გამძლე უნდა იყოს.
12. ხარაჩოს სამუშაო პლატფორმა უნდა იყოს ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული ფიცრებისგან ან
ლითონის ფურცლებისგან დამზადებული და გამყარებული ისე, რომ გამოირიცხოს მათი გამოძრავება.
13. ფიცრებს ან ლითონის ფურცლებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 3 სმ-ს.
14. სამუშაო პლატფორმის სიგანე არ უნდა იყოს 80 სმ-ზე ნაკლები, მისი სიგანე უნდა ფარავდეს საყრდენ ბოძებს შორის მანძილს.
15. სამუშაოების კედლის კიდეზე შესრულებისას სამუშაო პლატფორმა კედლის კიდიდან მინიმუმ 60 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული.

16. სამუშაო პლატფორმის გვერდებსა და ნაგებობას შორის დაშორება 25 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.
17. ხარაჩოს ნაწილობრივ მოხსნა ან დაუსრულებელი სახით დატოვება (როდესაც ამგვარ
მდგომარეობაში მყოფი ხარაჩოს გამოყენების შესაძლებლობა არსებობს) დაუშვებელია.
18. ნაწილობრივ მოხსნილი ან დაუსრულებელი სახით ხარაჩოების დატოვების შემთხვევაში (როდესაც ამის აუცილებლობა არსებობს), შემდეგი სახის ზომები უნდა იქნეს მიღებული: ნაწილობრივ მოხსნილ ან დაუსრულებელ ხარაჩოებთან თვალსაჩინო ადგილებზე უნდა იყოს განთავსებული ამკრძალავი/მაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნიშნების განთავსებასთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებს; ამ ხარაჩოებთან მიმავალი გზები უნდა იყოს გადაკეტილი შესაბამისი სახის მოაჯირებით.
19. ხარაჩოების სარემონტო-საექსპლუატაციო სამუშაოები უნდა ტარდებოდეს კომპეტენტური პერსონალის მიერ, სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 7. მოთხოვნები დაკიდული ხარაჩოების მიმართ

1. დაკიდული ხარაჩოების ასაწევად ან დასაწევად ამწევი მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში:

ა) ამწევი მოწყობილობა უნდა იყოს საკმარისად გამძლე და მისი მოვლა/ექსპლუატაცია ხორციელდებოდეს უსაფრთხოდ;

ბ) ხარაჩო უსაფრთხოდ და მყარად უნდა იყოს დაფიქსირებული დამაგრების ადგილე;

გ) ამწევი მოწყობილობის დეტალები უნდა იყოს განლაგებული ხარაჩოს კიდეზე (შეძლებისდაგვარად). ბაგირები უნდა იყოს მაქსიმალურად დაჭიმული;

დ) ამწევი მოწყობილობა უნდა იყოს აღჭურვილი მუხრუჭებით ან შესაბამისი შემაჩერებელი მექანიზმით;

ე) ამწეზე ხარაჩოს დაკიდების შემთხვევაში, ხარაჩოს ქვედა ნაწილზე მიმაგრებულ თითოეულ შკივზე თოკი მინიმუმ ორჯერ უნდა იყოს შემოხვეული, ხოლო თითოეულ შკივზე დახვეული თოკის ბოლო ნაწილის სიგრძე უნდა იყოს თვალით აღქმადი.

2. საბჯენ ბოძებთან ერთად მაბალანსირებელი ტვირთის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნული ტვირთი ბოძებზე მყარად უნდა იყოს მიმაგრებული.
3. დაკიდულ ხარაჩოზე ასვლისას და ჩამოსვლისას არავითარი დაბრკოლება არ უნდა არსებობდეს. მათი დიზაინი ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის ჩამოვარდნას უნდა გამორიცხავდეს. ხარაჩოს
ორივე მხარეს უნდა არსებობდეს მათი გამოძრავების აღმკვეთი მექანიზმები.
4. დაკიდული ხარაჩოს ამწევი საშუალებები: ბაგირები, ჯაჭვები და ა.შ. უსაფრთხოდ

უნდა იყოს
დამაგრებული პლატფორმის ჩარჩოზე ან ნებისმიერ ამწევ მოწყობილობაზე, დაჭიმულ მ დგომარეობაში.

5. დაკიდული ხარაჩოს დახრის, რხევის ან ჩამოვარდნის აღსაკვეთად უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები.
6. დაკიდულ ხარაჩოებზე, ტვირთის აწევის მიზნით, მხოლოდ შესაბამისი გამძლეობის გვარლისა და სტანდარტული ბაგირების გამოყენება არის შესაძლებელი.
7. როდესაც დაკიდულ ხარაჩოზე, შკივის ან მსგავსი აღჭურვილობის მეშვეობით, გალიების, კალათების და ა.შ. ტვირთის აწევა ხორციელდება:

ა) აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს საკმარისად გამძლე, მყარი მასალებისგან დამზადებული და გამართულ მდგომარეობაში;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ეს აღჭურვილობა უნდა იყოს სხვა დანადგართან მყარად მიმაგრებული ან მასზე დაყრდნობილი.

8. გალიების, კალათების ან მსგავსი მოწყობილობების გადმოყირავების და დასაქმებულების გადმოვარდნის პრევენციის მიზნით, უნდა იქნეს მიღებული უსაფ რთხოების ზომები.
9. გალიების, კალათებისა და მსგავსი კონსტრუქციების მოაჯირის სიმაღლე ძირიდან უნდა შეადგენდეს 90-120 სმ-ს, მათი მონტაჟისა და გამოყენების პროცესს უნდა ზედამხედველობდეს პასუხისმგებელი ან მის მიერ დანიშნული პირი.
10. როდესაც ვერტიკალური დამცავი ბაგირები გამოიყენება, ისინი უნდა იყოს შეკრული და დამაგრებული საყრდენ ნაწილზე, არ უნდა იყოს დამაგრებული ხარაჩოზე და უნდა იყოს დაცული დაზიანებებისაგან. საყრდენი ნაწილები მოიცავს შენობის სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილებს და არ მოიცავს მილებს, სავენტილაციო ხვრელებს, სხვა მილგაყვანილობის სისტემებს, ელექტროსადენებსა და მსგავს ელემენტებს.
11. როდესაც ჰორიზონტალური დამცავი ბაგირები გამოიყენება, ისინი უნდა იყოს მიმაგრებული ხარაჩოს ორ ან მეტ სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილზე ან შესაძლოა იყოს დამაგრებული საკიდარ და დამოუკიდებელ საკიდარ ხაზებზე (ამგვარად აღჭურვილ ხარაჩოებზე), რომლებიც დამაგრებულია ამწევ და სამუხრუჭე მექანიზმებზე. ჰორიზონტალური დამცავი ბაგირი უნდა იყოს დამაგრებული მხოლოდ საკიდარ თოკებზე.
12. როდესაც ღვედი არის დაკავშირებული ჰორიზონტალურ დამცავ ბაგირთან ან რეგულირებადი მოძრავი ხარაჩოს სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილთან, ხარაჩო აღჭურვილი უნდა იყოს დამოუკიდებელი დამატებითი დამჭერი ტროსით ან ავტომატური ჩამკეტი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ხარაჩოს ვარდნის შეჩერებას ერთი ან ორივე საკიდი ბაგირის დაზიანების შემთხვევაში. დამოუკიდებელი დამჭერი ტროსი უნდა იყოს ისეთივე გამძლე და იმ რაოდენობის,

როგორიც საკიდი თოკებია.
13. ვერტიკალური დამცავი ბაგირი, დამოუკიდებელი დამჭერი ტროსი და საკიდი ბაგირები არ უნდა იყოს ერთმანეთზე მიმაგრებული, ასევე ისინი არ უნდა იყოს მიმაგრებული ერთ საყრდენ ნაწილზე, ასევე არ უნდა იყოს მიმაგრებული ხარაჩოზე ან ინდივიდუალური დაცვის საშუალების ერთსა და იმავე წერტილზე.

მუხლი 8. მოთხოვნები გადასატანი ხარაჩოების მიმართ

1. გადასატანი ხარაჩოს დამზადებისას გამოყენებული ყველა საბჯენი უნდა იყოს მყარი და სათანადო, გამძლე მასალისგან დამზადებული.
2. დაუშვებელია გადასატანი ხარაჩოს სტაციონარულ ხარაჩოზე განლაგება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სივრცე საკმარისად ფართოა, ხოლო საყრდენი ბოძები პლატფორმაზე მყარად არის დამაგრებული.
3. ბორბლებზე ან რელსებზე მოძრავი ხარაჩო:

ა) აგებული უნდა იყოს სწორ, მყარ და გლუვ ზედაპირზე;

ბ) ისე უნდა იყოს დაფიქსირებული, რომ გამოირიცხოს მისი გამოძრავება მასზე დასაქმებულის
მუშაობის პროცესში;

გ) გადასატან ხარაჩოს უნდა გააჩნდეს მასზე მყარად დამაგრებული შესაბამისი კიბე.

4. ხარაჩოს დატვირთვა არ უნდა აჭარბებდეს პასპორტით გათვალისწინებულ ნორმას.

მუხლი 9. მოთხოვნები ხარაჩოს ტვირთამწეობისა და შემოწმების მიმართ

1. ხარაჩოზე არსებული ტვირთი უნდა იყოს მაქსიმალურად დაბალანსებული იმგვარად, რომ არ მოხდეს ხარაჩოს გადატვირთვა.
2. ხარაჩოზე მასალის გადაადგილება ან განლაგება მისი რყევის გარეშე უნდა ხორციელდებოდეს.
3. ხარაჩოზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ის მასალა, რომელიც კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად არის აუცილებელი.
4. სამუშაო ადგილებზე ხარაჩოების, გალიების, კალათებისა და მსგავსი აღჭურვილობის გამოყენებისას პასუხისმგებელმა ან მის მიერ დანიშნულმა პირმა ამ აღჭურვილობის შემოწმება უნდა მოახდინოს შემდეგი პერიოდულობის დაცვით:

ა) ექსპლუატაციაში შესვლამდე;

ბ) ექსპლუატაციის შემდეგ, პერიოდულად – არანაკლებ 7 დღეში ერთხელ;

გ) აღჭურვილობის მოდიფიკაციის, გარკვეული პერიოდით მოცდენის, ცუდი ამინდის, სეისმური რყევების ან ნებისმიერი სხვა გარემოების დადგომის შემდეგ, რომელსაც მის ტვირთამწეობაზე ან მდგრადობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ამ შემთხვევებში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს შემოწმება.

5. შემოწმების ანგარიში უნდა მომზადდეს წერილობით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს
კომპეტენტური პირი და ინახებოდეს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთნ
. მუხლი 10. უსაფრთხოების ბადეები

1. უსაფრთხოების ბადე უნდა განთავსდეს სიმაღლეზე მიმდინარე სამუშაოების ქვემოთ, სადაც ვერ ხერხდება სხვა სახის დამცავი საშუალების ეფექტური გამოყენება.
2. უსაფრთხოების ბადე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა განთავსდეს პლატფორმის ქვემოთ მაქსიმალურად ახლოს, მაგრამ არაუმეტეს 9 მეტრი სიმაღლისა;

ბ) უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს ქვედა სამუშაო სივრცეებისა და მიმდინარე პროცესების ხილვადობას, რათა არ მოხდეს მყარი საგნების გადაგდება და არასასურველი კონტაქტი მიწის ზედაპირთან;

გ) დამონტაჟების შემდეგ უნდა მოხდეს მისი შემოწმება. დამცავი ბადის შემოწმება უნდა განხორციელდეს მუშაობის დაწყებამდე, ხოლო თუ აღნიშნული ბადე არ იქნა მოხსნილი ან გადატანილი, მისი განმეორებითი შემოწმება უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს 6 თვისა. ბადის გამოცდისას უნდა გამოიყენონ 180 კგ-ის სიმძიმის ტვირთი არანაკლებ 1 მეტრის სიმაღლიდან. გამოცდის შედეგები უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტურად, კომპეტენტური პირის/სამსახურის მიერ;

დ) დაუშვებელია დეფექტის მქონე ბადის გამოყენება დამცავ საშუალებად;

ე) თუ დამცავ ბადეში მოხვდება რაიმე რკინის ნაჭერი, იარაღი ან სხვა სახის საგანი, მისი ამოღება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ. ასევე უნდა განხორციელდეს ბადის შემოწმება ნებისმიერი ინციდენტის შემდეგ;

ვ) ყოველ დამცავ ბადეს კიდეზე უნდა ჰქონდეს ბაგირი, რომელიც უნდა უძლებდეს 2250 კგ მასის დატვირთვას.

3. უსაფრთხოების ბადეები გარე მიმართულებით, სამუშაო ზედაპირის ყველაზე დაშორებული წერტილიდან უნდა იყოს განთავსებული შემდეგნაირად:
4. თითოეული უსაფრთხოების ბადის ღია უჯრედის გვერდის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 15 სმ-ს.

ყველა უჯრედის კვეთა დაცული უნდა იყოს, რათა გამოირიცხოს ღია უჯრედის გაფართოება.

ვერტიკალური მანძილი სამუშაო პლატფორმიდან ბადის ჰორიზონტალურ ზედაპირამდე	ბადის გარე კიდის მინიმალური ჰორიზონტალური მანძილი სამუშაო ზედაპირის კიდიდან
1.5 მეტრამდე	2.5 მეტრი
1.5 მეტრიდან 3 მეტრამდე	3 მეტრი
3 მეტრზე მეტი	4 მეტრი.

მუხლი 11. სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

1. სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც განკუთვნილია სიმაღლეზე მომუშავე ადამიანის ვარდნისაგან დაცვისათვის, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) დამაკავშირებელი მოწყობილობა უნდა იყოს დამზადებული დაპრესილი ან ფორმირებული ფოლადისგან ან მისი მსგავსი მასალისგან;

ბ) დამაკავშირებელ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს კოროზიისაგან დამცავი დაბოლოებები და მისი
ზედაპირი უნდა იყოს გლუვი, რათა არ მოხდეს ამ სისტემის შემადგენელი ნაწილების დაზიანება;

გ) კარაბინებისა და ჩამკეტიანი კაუჭების გამძლეობაზე სიმტკიცე უნდა გააჩნდეს მინიმუმ 2250 კგ-ის დატვირთვისას;

დ) კარაბინები და ჩამკეტიანი კაუჭები უნდა გამოიცადოს მინიმუმ 1600 კგ-ის გამძლეობაზე, რომლის
დროსაც არ უნდა მოხდეს მათი გატეხვა, გაწყვეტა ან დეფორმაცია;

ე) ჩამკეტიანი კაუჭი უნდა გაიზომოს, რომ თავსებადი იყოს მიერთებულ ნაწილებთან, რათა არ მოხდეს მისი შემთხვევითი ამოვარდნა საჭერი მოწყობილობიდან. კაუჭი ასევე უნდა იკეტებოდეს, რათა
გამოირიცხოს საჭერიდან და მიმაგრებული ნაწილებიდან გამოვარდნა;

ვ) თუ ჩამკეტიან კაუჭს არ აქვს სამაგრი, ის არ უნდა გამოიყენებოდეს: თასმებზე, ბაგირებზე, ლითონის ბაგირებზე, კარაბინებზე, ჰორიზონტალურ ტროსებზე ან ნებისმიერ ნივთზე, რომლის ფორმა ან ზომა იმდენად შეუთავსებელია კაუჭთან, რომ

შესაძლოა მოხდეს შემთხვევითი ამოვარდნა საჭერებიდან, შეერთებული ნაწილების დაწევა ან განცალკევება;

ზ) ჰორიზონტალური ტროსების მქონე დაკიდულ ხარაჩოებზე ან მსგავს სამუშაო პლატფორმებზე, სადაც ჰორიზონტალური ტროსი შესაძლოა ვერტიკალურ ტროსებად იქნეს გამოყენებული, ჰორიზონტალურ ტროსთან დამაკავშირებელი მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ტროსის ორივე მხრიდან გამაგრებას;

თ) ჰორიზონტალური ტროსები, როგორც სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, დაპროექტებულ, დაყენებულ და გამოყენებულ უნდა იქნეს კვალიფიციური პირის მიერ;

ი) ღვედები და ვერტიკალური ბაგირები უნდა უძლებდეს არანაკლებ 2250 კგ-ის სიმძიმით/მასით დატვირთვას;

კ) ვერტიკალური ბაგირების გამოყენებისას თითოეული დასაქმებული პირი ცალკეულ ბაგირზე უნდა იყოს მიმაგრებული, გარდა ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ლ) ლიფტის შახტის მშენებლობისას ორი დასაქმებული შეიძლება მიმაგრებული იყოს ერთსა და იმავე ბაგირზე იმ შემთხვევაში, თუ ორივე პირი ერთი კაბინის ზევით მუშაობს და კაბინა შემოსაზღვრულია მოაჯირებით, ხოლო ბაგირის სიმტკიცე უნდა უძლებდეს თითო კაცზე 4450 კგ-ის დატვირთვას;

მ) ადამიანის დამცავი ბაგირები დაცული უნდა იყოს გადაჭრისაგან თუ გაცვეთისაგან;

ნ) გამოსაწევი ტიპის ბაგირები და ღვედები, რომლებიც ავტომატურად 60 სმ-ით ან ნაკლებით ამცირებენ თავისუფალი ვარდნის მანძილს და მიმაგრებულია მოწყობილობაზე მთლიანად გაშლილ მდგომარეობაში, უნდა უძლებდეს გამძლეობის სიმტკიცეს მინიმუმ 3350 კგ-ის დატვირთვით;

ო) გამოსაწევი ტიპის ტროსები და ღვედები, რომლებიც ავტომატურად 60 სმ-ით ან ნაკლებით არ ამცირებენ თავისუფალი ვარდნის მანძილს, ასევე გაცვეთილი და დეფორმირებული ღვედები, რომლებიც მიმაგრებულია მოწყობილობაზე მთლიანად გაშლილ მდგომარეობაში, უნდა უძლებდეს არანაკლებ 2250 კგ-ის დატვირთვას;

პ) ანკერული გამაგრებები, რომლებიც სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს ამაგრებს, უნდა იყოს განცალკევებული იმ ანკერული გამაგრებებისგან, რომლებიც პლატფორმების საყრდენებად ან საკიდად

გამოიყენება და თითოეულ დასაქმებულზე უნდა უძლებდეს მინიმუმ 2250 კგ-ის დატვირთვას და უნდა დამონტაჟდეს და გამოყენებულ იქნეს კვალიფიციური პირის ზედამხედველობის ქვეშ.

2. სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებმა ვარდნის შეჩერებისას უნდა უზრუნველყონ ვარდნის დროს დასაქმებულის შეჩერება მიწის ზედაპირიდან 1.8
მეტრის სიმაღლეზე და არ უნდა მოახდინონ მისი შეხება მიწის ზედაპირთან.
3. სხეულის სალტეები, სხვა აღჭურვილობები და კომპონენტები უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ
დასაქმებულთა დასაცავად. დაუშვებელია მათი გამოყენება სხვა მასალების ასაწევად/გა დასატანად.
4. სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და კომპონენტები გაუმართაობის დროს ხმარებიდან უნდა იქნეს ამოღებული და არ იქნეს გამოყენებული იქამდე, ვიდრე არ შემოწმდება კომპეტენტური პირის/სამსახურის მიერ.
5. დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებულთა სწრაფი ევაკუაცია ვარდნის შემთხვევაში ან/და
დარწმუნდეს, რომ დასაქმებულებს თავად აქვთ საკუთარი თავის გადარჩენის შესაძლებ ლობა.
6. სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალება უნდა შემოწმდეს ყოველი გამოყენების წინ ცვეთაზე, დაზიანებაზე და სხვა ხარვეზებზე. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, დაცვის საშუალება ან/და დეფექტური ნაწილები დაუყოვნებლივ უნდა ჩანაცვლდეს ან მოხდეს მათი ხმარებიდან ამოღება.
7. სხეულის სალტეები უნდა იყოს არანაკლებ 4 სმ-ის სიგანისა.
8. სიმაღლიდან ვარდნის დამცავი ინდივიდუალური დაცვის საშუალება დამაგრებული არ უნდა იყოს მოაჯირის სისტემაზე და არც ამწევ მექანიზმებზე.
9. თუ სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალება გამოიყენება ამწევი მექანიზმების გამოყენების ადგილებზე, იგი უნდა უზრუნველყოფდეს დასაქმებულების მოძრაობას
მხოლოდ სამუშაო ზედაპირის კიდემდე

მუხლი 12. მოთხოვნები დამჭერი მოწყობილობების მიმართ

1. დამჭერი მოწყობილობები იმგვარად უნდა იქნეს დამაგრებული, რომ არ დაუშვას მომუშავის თავისუფალი ვარდნა 0.6 მეტრზე მეტად.
2. ანკერები, რომელზეც დამაგრებულია დამჭერი მოწყობილობები, უნდა უძლებდეს 1360 კგ-ის დატვირთვას.
3. ჩამჭიდები დამზადებული უნდა იყოს ნაწრთობი, ჩამოსხმული, ფორმირებული ფოლადის ან სხვა ეკვივალენტური მასალისგან.
4. ჩამჭიდებს უნდა გააჩნდეთ კოროზია, გამძლე საფარი და ყველა ზედაპირი უნდა ჰქონდეთ გლუვი,
დამჭერი მოწყობილობის კონტაქტში მყოფი ელემენტების დაზიანების გამოსარიცხად.

5. დამაკავშირებელი მოწყობილობები უნდა უძლებდეს 2268 კგ-ის (22.2 კილონიუტონი) დაჭიმულობის ძალას.
6. კაუჭებსა და ჩამკეტიან კაუჭებს ჩატარებული უნდა ჰქონდეთ გამოცდა სიმტკიცეზე და გააჩნდეთ მინიმალური დაჭიმულობის ძალა 1633 კგ-ის დატვირთვისთვის.
7. ჩამკეტიანი კაუჭის ზომა უნდა შეესაბამებოდეს/მორგებული უნდა იყოს იმ ნაწილების ზომას, რომელთანაც არის დაკავშირებული, რათა გამორიცხულ იქნეს დაჭიმულობით გამოწვეული
შემთხვევითი განცალკევება. დასაშვებია მხოლოდ ჩამკეტი ტიპის სამაგრი კავების გამო ყენება.
8. ყოველი გამოყენების წინ დამჭერი მოწყობილობის სისტემა უნდა შემოწმდეს ცვეთის, დაზიანებებისა
და სხვა ნაკლოვანებების არსებობაზე. დეფექტური ნაწილები არ უნდა იქნეს გამოყენებ ული.
9. ტანის სალტე, ქამარი და ვარდნისგან დამცავი სხვა აღჭურვილობები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ მომუშავე პერსონალის დაცვის მიზნით და იკრძალება მათი მასალის აწევის/გადაზიდვის მიზნით გამოყენება.
10. დამცავ მექანიზმზე აღნიშნული უნდა იყოს: დამამზადებლის სასაქონლო ნიშანი, ტიპი, ზომა, დამზადების თარიღი, ტექნიკური პირობები. დაუშვებელია მათი გამოყენება, თუ არ ხდება პერიოდული გამოცდა დატვირთვაზე. ასეთი ტიპის გამოცდა უნდა ხორციელდებოდეს ყოველ ექვს

თვეში ერთხელ, 1470 ნ სტატიკურ დატვირთვაზე 5 წუთის განმავლობაში. გამოცდის შემდეგ არ უნდა
დაირღვეს შემადგენელი ნაწილების ბოჭკოებისა და ნაკერების მთლიანობა.

მუხლი 13. მოთხოვნები მაფრთხილებელი ბარიერების მიმართ

1. სამშენებლო მოედანზე უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს მაფრთხილებელი ბარიერით, უსაფრთხოების ნიშნებითა და შესაბამისი წარწერებით („ფრთხილად“, „ვარდნის საფრთხეა“, „არ გადაკვეთოთ“).
2. აღნიშნულ ბარიერამდე დასაქმებულებს ეძლევათ უფლება, იმუშაონ სიმაღლიდან ვარდნის სხვა დამცავი საშუალებების გარეშე, თუმცა მათ აკრძალული აქვთ ამ მაფრთხილებელი ბარიერის მიღმა დამცავი აღჭურვილობის გარეშე მუშაობა.
მაფრთხილებელი ბარიერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა განთავსდეს სამუშაო ზედაპირის კიდიდან არანაკლებ 180 სმ-ის მანძილისა;

ბ) თუ საფრთხისშემცველ ადგილამდე მისასვლელი გზა არ გამოიყენება, ის უნდა შემოისაზღვროს თოკით, ბაგირით, ჯაჭვით, ბარიკადით ან სხვა შესაბამისი გამძლეობისა და სიმაღლის დამცავი
ბარიერებით, რათა არ მოხდეს გარეშე პირთა შეღწევა;

გ) უნდა შედგებოდეს ბაგირისგან, მავთულისგან, ბიგისგან ან ჯაჭვისგან და შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

გ.ა) ბაგირზე, მავთულზე ან ჯაჭვზე განთავსებული უნდა იყოს თვალისთვის კარგად აღქმადი შეფერილობის მასალით დამზადებული ალმები, არაუმეტეს 180 სმ-ის ინტერვალით;

გ.ბ) ბაგირი, მავთული ან ჯაჭვი სამუშაო ზედაპირიდან დაფიქსირებული უნდა იყოს არანაკლებ 85 სმ-ისა და არაუმეტეს 100 სმ-ის სიმაღლეზე;

გ.გ) ბაგირის/თოკის, მავთულის, ჯაჭვის დამონტაჟების შემდეგ ბიგი ისე მყარად უნდა დაფიქსირდეს, რომ მისი წაქცევა/ამოყირავება გამოირიცხოს. ბიგმა უნდა გაუძლოს ჰორიზონტალურად 7 კგ-ის ზეწოლას;

დ) ბაგირები ისე უნდა იყოს განთავსებული თითოეულ ბიგზე, რომ ბიგებს შორის ბაგირის გაბმამ არ გამოიწვიოს სხვა ბოძების სიმყარის შესუსტება და წაქცევა;

ე) არცერთ დასაქმებულს არ აქვს უფლება, იმყოფებოდეს კიდესა და მაფრთხილებელ ბარიერს
შორი«იმ დასაქმებულ(ებ)ის გარდა, რომელიც ამ ზონაში ახორციელებს სამუშაოს;

ვ) სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა დამატებითი მაფრთხილებელი ბარიერები.

მუხლი 14. მოთხოვნები გადასატანი კიბეების მიმართ

1. გადასატანი კიბეები დამზადებული უნდა იყოს გამძლე მასალისგან, უნდა მიმდინარეობდეს მათი
სწორი მოვლა/ექსპლუატაცია და გამოიყენებოდეს დანიშნულებისამებრ.
2. აკრძალულია ისეთი გადასატანი კიბეების გამოყენება, რომლებსაც აკლია
საფეხურ(ებ)ი ან აღენიშნებათ სხვა რაიმე დეფექტი.
3. საფეხურები ჩასმული უნდა იყოს ძელებში არსებულ შესაბამის (ამისთვის
განკუთვნილ) ღრმულებში და უნდა იყოს კარგად დამაგრებული. ამ პუნქტის
მოთხოვნები არ ვრცელდება ლითონისაგან დამზადებულ კიბეებზე.
4. საფეხურებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 30 სმ-ს.
5. ოთხ მეტრზე გრძელი გადასატანი კიბე დამზადებული უნდა იყოს მყარი ლითონის მა
სალისგან.
6. კიბის ზედა ნაწილი (როდესაც კიბე ვერტიკალურ ან დახრილ მდგომარეობაშია)

მიმაგრებული უნდა იყოს იმ ადგილზე, რომელსაც ის ეყრდნობა. თუ კიბის ზედა ნაწილის უსაფრთხოდ მიმაგრება შეუძლებელია, მაშინ ის სამუშაო ზედაპირზე მყარად უნდა დამაგრდეს. თუ კიბის ზედა და ქვედა ნაწილების დამაგრება ვერ ხერხდება, მაშინ ნიადაგზე/იატაკზე უნდა იდგეს ადამიანი, რომელიც აღკვეთს კიბის დაცურებას. კიბე მყარ ნიადაგსა და ზედაპირზე უნდა დადგეს და გამაგრდეს იმგვარად,
რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი ზედმეტი რხევა ან გაღუნვა.
7. იმ შემთხვევაში, თუ კიბის საფეხური გამოიყენება სამუშაო ადგილად, კიბის საფეხური მინიმუმ
ერთი მეტრით უნდა იყოს დაშორებული ბოლო საყრდენი წერტილიდან.
8. მშენებლობაზე გამოყენებულ კიბეს უნდა გააჩნდეს ვერტიკალური ღერძები და საფეხურები,
რომლებიც არ უნდა იყოს დაზიანებული. კიბის საყრდენი უნდა იყოს გამართულ მდგო მარეობაში.
9. აკრძალულია არაქარხნული წესით, კუსტარულად დამზადებული კიბეების გამოყენე ბა.
10. კიბე უნდა დაიდგას სათანადო კუთხით, სიმაღლის შესაბამისად, ხოლო კიბის ქვედა სადგამი კედლიდან გამოწეული უნდა იყოს კიბის სიმაღლის ¼-ის მანძილით.
11. აკრძალულია კიბეზე ერთზე მეტი ადამიანის ასვლა. დასაქმებულს კიბესთან უნდა ჰქონდეს სამწერტილოვანი კონტაქტი.
12. კიბის დადგმის ადგილი სწორად უნდა იქნეს შერჩეული და, საჭიროების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნებით.
13. მისასვლელ არეს კიბე უნდა აცდეს არანაკლებ ორი საფეხურით.
14. ღია ელექტროსადენებთან სიახლოვეს გამოყენებულ უნდა იქნეს მშრალი, დიელექტრიკული კიბეები.
15. ხარაჩოების, დამცავი ღვედების, კიბეების, სამუშაო პლატფორმებისა და ყველა ზემოთ აღნიშნული საშუალებების შემოწმება უნდა ხორციელდებოდეს პერიოდულად, კომპეტენტური პირის/სამსახურის
მიერ, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს დოკუმენტურად და შემოწმების აქტი

მუხლი 15. მოთხოვნები ღიობების მიმართ

ღიობები (ჭები, შურფები, ლიფტის შახტები, კიბის უჯრედები, ნებისმიერი ადგილი, სადაც შესაძლოა ადამიანების ვარდნა) დაფარული უნდა იყოს სპეციალური ხუფებით ან/და ფენილებით. ხუფები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ყველა ხუფი უნდა უძლებდეს მასზე მდგარი დასაქმებულის და განთავსებული ხელსაწყოსა და ნივთის გაორმაგებულ წონას;

ბ) ხუფები უნდა დამონტაჟდეს ისე მყარად, რომ შეუძლებელი იყოს მისი შემთხვევითი გადაადგილება;

გ) ხუფებს უნდა ჰქონდეს გამაფრთხილებელი წარწერა – „ორმო“ („HOLE“) და „ხუფი“ (

„COVER“).

მუხლი 16. სწავლება

1. სიმაღლეზე მომუშავე ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი სწავლება, რომელიც ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ სასწავლო მოდულებს.
2. სიმაღლეზე მომუშავეებს უნდა ჩაუტარდეთ სწავლება სიმაღლიდან ვარდნის დამცავი საშუალებების შესაბამის გამოყენებაზე. პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული დასაქმებულისათვის ვარდნის საფრთხის გამოცნობის შესაძლებლობას და უნდა მოიცავდეს ამ საფრთხის მინიმუმამდე
შემცირების მიზნით აუცილებელ პროცედურებს.
3. დასაქმებულებს უნდა ჩაუტარდეთ სწავლება მათი ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და მოვალეობების შესახებ.
4. დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ გავლილი სწავლება უბედური შემთხვევისას პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ.
5. განმეორებითი სწავლება საჭიროა:
ა) როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დასაქმებული არ არის ადეკვატურად გა დამზადებული;
ბ) თუ გამოვლინდა, რომ დასაქმებული არ იყენებს ან/და არასწორად იყენებს დამცავ საშ უალებებს;
გ) აღმოჩენილია ახალი საფრთხე;
დ) მასიური უბედური შემთხვევის დროს;
ე) პერიოდულად, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე.

6. სწავლება/ტრენინგი/ინსტრუქტაჟი უნდა ჩატარდეს არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.
7. ყველა სწავლება უნდა იყოს დოკუმენტირებული და უნდა მოიცავდეს შემდეგს:ა) გან ხილულ მოდულებსა და საკითხებს;
ბ) სწავლების ადგილს;

გ) ტრენერის სახელს/გვარს;

დ) სწავლების თარიღს;

ე) სწავლების მონაწილეთა მონაცემებს;

ვ) დასაქმებულის ხელმოწერას.

8. დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ტრენინგების პროგრამის შემუშავება

და განხორციელება თითოეული დასაქმებულისათვის, რომელსაც შესაძლოა

დაემუქროს ვარდნის საფრთხე.

მუხლი 17. პასუხისმგებლობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის

ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობი

5. გარემოს დაცვის ღონისძიებები

1. გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

2. სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობით.

3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

- ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოება;

- მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ეკოსისტემა;

- ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;

- ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე;

არსებობს შემდეგი კანონები:

- კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" 1996 წ. განსაზღვრავს იმ ზოგად მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.

- კანონი "წყლის შესახებ" 1997 წ. შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებს და ტერიტორიულ ზღვარს და განსაზღვრავს წყლის აღებას და ჩაშვებას, ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

- კანონი "ატმოსფერული ჰაერის შესახებ" 1997 წ. ითვალისწინებს ჰაერის კონტროლს და დაბინძურების შეზღუდვის დროებით მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარებას სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.

- კანონი "მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ" 1998 წ. მოიცავს მავნე ნივთიერებების კლასიფიკაციას და უსაფრთხოების მოხმარებას.

4. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე ობიექტის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

5. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში ნაერთების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

6. სადემონტაჟო სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოვაფაროთ ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

7 სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაში არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღიჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანის ძარაში.

6. მშენებლობის განხორციელების ტექნოლოგიური ნორმალი

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა მოსამზადებელი სამუშაოების ჩათვლით 3,15 თვეა.

1 ეტაპი. მოსამზადებელი სამუშაოები.

2 ეტაპი. "ა" ბლოკის სადემონტაჟო სამუშაოები.

3. ეტაპი. "გ" ბლოკის სადემონტაჟო სამუშაოები.

4.ეტაპი."ბ" ბლოკის სადემონტაჟო სამუშაოები.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შედგა სადემონტაჟო სამუშაოების კალენდარული გრაფიკი, ეტაპების გათვალისწინებით.

7. მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები

1. შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-01-85 "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია"-ს მოთხოვნილებებს. მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება სადემონტაჟო სამუშაოებზე ;
- სადემონტაჟო სამუშაოებისათვის მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტები;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება.

3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობით.

4. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება დაიშვება დოკუმენტაციის დამტკიცებისა და მის საფუძველზე ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ.

5. არსებული შენობა დაიშალოს ზევიდან ქვევით უსაფრთხოებისა და ბუნების დაცვითი ღონისძიებების დაცვით.

6. ობიექტის უზრუნველყოფა ელექტროენერგიითა და წყლით უნდა მოხდეს საქალაქო ქსელების ხელმძღვანელობასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7. სადემონტაჟო სამუშაოების პროცესების წარმართვა უნდა მოხდეს თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ III-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

8. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამუშაოების წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით.

9. სადემონტაჟო სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს პროექტის სრული შესაბამისობით. დემონტაჟის პროცესში ობიექტური მიზეზებით ცვლილებების შემთხვევაში გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს ავტორთან, მათგან ოფიციალური ნებართვის გაცემით.

10. სამუშაოები უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

11. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით დადგენილია მშენებლობის წინასწარი ღირებულება და არ წარმოადგენს დამკვეთსა და მოიჯარეს შორის გადახდის საშუალებას. მათ შორის ანგარიშსწორება ხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით სათანადო დოკუმეტაციის საფუძველზე.

8. მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები

1. სამშენებო და სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი მოქმედი ნორმებითა და წესებით:

- სნ და წ III-17-78 "ქვის კონსტრუქციები";
- სნ და წ III-18-79 "ლითონის კონსტრუქციები";
- სნ და წ III-19-81 "ხის კონსტრუქციები";

- სნ და წ III-20-74 "ბურულები, ჰიდროიზოლაცია, ორთქლიზოლაცია და თბოიზოლაცია";

- სნ და წ III-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკაში";

- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და წ 1.06.05-85 "მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა";

9. მოთხოვნილებები კადერბზე და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო სათავსებზე

. სადემონტაჟო სამუშაოთა სავარაუდო ღირებულება დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ურთიერთ შეთანხმების თანახმად შეადგენს 16 ათას ლარს. მშენებლობის ხანგრძლივობა კალენდარული გეგმის მიხედვით 3,15 თვეა. აღნიშნულიდან გამომდინარე მშენებლობის პერიოდში მშენებლობაზე ყოველდღიურად უნდა დავასაქმოთ საშუალოდ 6 მუშა.

მუშების რაოდენობა მშენებლობაზე დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იქნება.

2. გარდა მუშებისა მშენებლობაზე დასაქმებულია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი 10% ოდენობით. ამდენად მომუშავეთა საშუალო დღიური რაოდენობა გაიზრდება 7 კაცამდე, ტრანსპორტის მომსახურებაზე დასაქმებულთა ჩათვლით (3%) კიდევ 8 მუშაკამდე.

3. მუშა-მოსამსახურეთა სამსახურეობრივი და საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად საჭიროა:

- ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის კანტორა ფართობით 10+1X4=14 მ^2.

- მომუშავეთათვის საყოფაცხოვრებო სათავსი 7X0,7=5,0 კვ.მ;

- საპირსაბანო - 8X0,065=5,0 მ^2.

10. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

1. სამშენებლო მოედნად ვიყენებთ 3,15 თვის განმავლობაში, როდესაც უნდა დასრულდეს სადემონტაჟო სამუშაოები შიდა ეზოს.

2. ობიექტიდან დემონტირებული კონსტრუქციების, სამშენებლო მასალების და სამშენებლო ნაგავუს გატანა უნდა მოხდეს თვითმცლელი და სატვირთო ავტომანქანებით.

3. ობიექტზე არ უნდა იქნას დასაწყობებული დიდი რაოდენობით დემონტირებული კონსტრუქციები და სამშენებლო ნაგავი მათი გატანა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ.

4. აღნიშნული მოსაზრებებეი სარეკომენდაციოა და მისი მიზანშეწონილობა უნდა დადგინდეს სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში.

11. მშენებლობაზე შრომისა და ელექტრო უსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები დაცული უნდა იყოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე" და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

1. სამუშაო ადგილებზე მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცვის საშუალებებით.

2. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებდეს დღიურ მოთხოვნილებას.

3. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით, ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ არ მოხდეს მათი მოცურება.

4. ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სა . სტანდარტში 12.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

5. იკრძალება შედუღების აპარატის და ელექტრო მოწყობილობების სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

6. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, ელექტრო შესადუღებელი აპარატი და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელების შემოყვანა დახურულ კარადაში ენერგომეურნეობის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით, ნებადართულ სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან, ასევე ვაყენებთ მრიცხველსაც, საიდანაც ძალოვანი და განათებული სადენებეი გაიმართება მომხმარებლისაკენ.

9. ამწეების და სხვა მანქანა-მექანიზმების მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

12. მომუშავეთა უსაფრთხოება ამწის მუშაობის პერიოდში

1. უცხო პირთა, აგრეთვე სადემონტაჟო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშამოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ამწის მუშაობის დროს დგება მესიგნალე.

2. იკრძალება ისარზე ჩამოკიდებული ტვირთით ისრის ტრიალი ღერძის გარშემო.

3. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ობიექტის აღჭურვა ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით.

4. სამშენებლო მექანიზმების გამოყენებისას სადემონტაჟო სამუშაოების მწარმოებელი მშენებლობის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოებისათვის დანიშნოს პასუხისმგებელი საინჟინრო-ტექნიკური მუშაკი, რომელსაც გავლილი აქვს შემოწმება მოცემული მანქანების გამოყენებით სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოების წესების და ინსტრუქციის ცოდნაში.

5. სამშენებლო მანქანების სამუშაო ადგილი ისე უნდა იყოს განსაზღვრული, რომ უზრუნველყოფილი იქნას სამუშაო ზონის დათვალიერების და მანევრირებისათვის საჭირო სივრცე. იმ შემთხვევაში, როდესაც მანქანის მმართველ მემანქანეს ან მოტორისტს არა აქვს სამუშაო სივრცის საკმაო ხედვის არე ან ვერ ხედავს მუშას (სპეციალურად გამოყოფილ მესიგნალეს), რომელიც სიგნალს აძლევს მას, მემანქანესა და მესიგნალეს შორის აუცილებლად უნდა იქნეს დამყარებული ორმხრივი რადიო ან სატელეფონო კავშირი. მემანქანისათვის სიგნალის გადასცემად შუალედური მესიგნალეების გამოყენება დაუშვებელია.

6. სამუშაოების პროცესში ან მანქანის გადადგილების დროს მისაცემი სიგნალის მნიშვნელობა უნდა განემარტოს ყველა პირს, ვინც დაკავშირებულია მანქანის მუშაობასთან.

მანქანის მუშაობის ზონაში უნდა დაიდგას უსაფრთხოების ნიშნები და გამაფრთხილებელი წარწერები.

7. მანქანის უმეთვალყურეოდ დატოვება მომუშავე (ჩართული) ძრავით დაუშვებელია.

8. დაუშვებელია მანქანის კვანძების გასათბობად ღია ცეცხლით სარგებლობა, აგრეთვე მანქანების ექსპლუატაცია, თუ ადგილი აქვს გაღენას სათბობი და საზეთი სისტემებიდან.

9. ხელის მანქანების გამოყენების დროს საჭიროა ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დაცვა, რომლებიც გათვალისწინებულია ქარხანა-დამამაზადებლის ინსტრუქციებში.

13. მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე და ჟანგბადზე

აღნიშნული მოთხოვნილებები გამოითვლება სნ-73 ინსტრუქციის მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 1 მილიონ მანეთ დანახარჯზე წლიური შესასრულებელი პროგრამის მიხედვით.

ჩვენს შემთხვევაში სამუშაოები გრძელდება 3,15 თვე, სადემონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 16 ათასი ლარია ანუ 0,016 მლნ ლარი. მანეთის ლარზე გადასაყვანად მიღებულია კოეფიციენტი კ1 = 0,45.

1. მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე

   0,78X0,016X140X0,45 = 0,78 ვტ.

2. მოთხოვნილება წყალზე

   0,93X0,016X0,24X0,45 = 0,0016 წმ.

3. მოთხოვნილება კომპრესორზე

   0,93X0,016X0,32X0,45 = 0,002 ცალი.

4. მოთხოვნილება ჟანგბადზე

   0,93X0,016X4400X0,45 = 29,0 საათში.

5. ფორმულებში 0,78, 0,93 ტერიტორიალური კოეფიციენტია, ხოლო 140, 0,24, 0,32 და 4400 ერთ მილიონ მანეთზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ნორმატიული დანახარჯები.

6. მოთხოვნილებები ელექტროენერგიაზე და წყალზე იფარება საქალაქო ქსელებიდან საექსპლუატაციო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულება–კონტრაქტების საფუძვლებზე.

14. მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე

ავტოტრანსპორტი იანგარიშება 1მლნ. მანეთ სამშენებლო-სამონტაჟო ღირებულების წლიური მოცულობის მიხედვით.

ჩვენს შემთხვევაში საჭიროა:

1. თვითმცლელი მანქანა 1 ერთეული დღეში

2. ძარიანი მანქანა 1 ერთეული დღეში

15. მოთხოვნილება სასაწყობო მეურნეობაზე

ღია და დახურულ სასაწყობო მეურნეობის გაანგარიშება წარმოებს 1 მლნ. მანეთ სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოთა დაგეგმილ მაქსიმალურად დატვირთულ წლიურ მოცულობაზე. ჩვენს შემთხვევაში ვითვისებთ თანხებს 0,016 მლნ. ლარის ოდენობით 16,0 თვეში.

1. დემონტირებული მეორადი ხმარებისათვის ვარგისი აგურის დასაწყობად გვჭირდება 20მ^2 ფართობი.

2. სამშენებლო იარაღებისა და სპეცტანსაცმელის შესანახად კი დახურული საწყობები ფართობით 3 მ^2.

3. დახურული საწყობების განთავსება სასურველია არსებული შენობის რომელიმე სათავსოში.

16. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

1. სამუშაოთა წარმოება შესაძლებელია ეზოდან.

2. ტვირთის ასაწევად რეკომენდებულია ტელესკოპური "კატო"-ს (ან მისი მზგავსი) ტიპის ავტოამწის და სამშენებლო ჯალამბარების გამოყენება.

3. ცხადია, ჩვენი მოსაზრებები სარეკომენდაციოა.სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში დადგინდება აღნიშნულის მიზანშეწონილობა. მათი გათვალისწინებით შედგა მშენებლობის განხორციელების გენერალური გეგმა.

4. დასაშვებია აღნიშნული საავტომობილო ტრანსპორტის ნაცვლად გამოყენებული იქნას თანამედროვე ტიპის შესაბამისი უცხოური წარმოების ამწეები და ავტოტრანსპორტი.

17. მითითებები მიწისზედა სამუშაოთა წარმოების თაობაზე

1. წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით და მშენებლობის კალენდარული გეგმით გათვალისწინებულია სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება უწყვეტი რითმით ნაკადური მეთოდების გამოყენებით, რომელიც გულისხმობს მანქანა– მექანიზმების გადაადგილებას სადემონტაჟო ბრიგადებთან ერთად შენობის ცალკეულ ნაწილზე მათზე დაკისრებული სამუშაოების შესასრულებლად. ცხადია სამუშაოთა ფართო ფრონტით

წარმოების დროს აუცილებელია სამუშაოთა შორის ტექნოლოგიური ინტერვალების დაცვა. სამუშაოთა ფართო ფრონტი საშუალებას იძლევა მუშახელის პროფესიონალური მოცდენა არ მოხდეს სხვადასხვა სამუშაო უბნებზე მათი გადაადგილების გამო, რისი უზრუნველყოფაც ცხადია სამუშაოთა მწარმოებლის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული.

2. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს ზედამხედველობის ქვეშ შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვით.

3. სადემონტაჟო სამუშაოთა შესრულება აუცილებელია მშენებლობის ორგანიზაციის შესაბამისობითა და მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

4. ცალკეულ სამუშაოებზე მათი შესრულების მეთოდებისა და წესების შესახებ, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების წესების თაობაზე დოკუმენტები ქართულ ენაზე თავმოყრილია მშენებლობის სამინისტროს მიერ 1986 წელს გამოცემული კრებულ–სამახსოვროში "სამშენებლო წარმოების წესები და ნორმები". მისი შეძენა შესაძლებელია შ.პ.ს "მშენაღდგენა/მ"–ში.

5. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე ჩაიჭრას შენობის წყალმომარაგების ქსელი.

6. გაითიშოს ელ. მომარაგების სისტემა.

7. მომზადდეს ტერიტორია დემონტირებული ვარგისი მასალების დასალაგებლად.

8. მოეწყოს დროებითი შენობა-ნაგებობები.

18. მოპ–ის შედგენისათვის ნორმატიული ბაზა

1. ს.ნ და წ. 3.01.01–85 "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია".

2. ს.ნ და წ. 1.04.03 – 85, ცვლილება №4 "მშენებლობის ხანგრძლიობის ნორმები", თავი "განათლება და კულტურა".

3. კრებული–სამახსოვრო "სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები", "ამონაკრები მოქმედი სამშენებლო ნორმებიდან და და წესებიდან", მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი, ქართულ ენაზე.

4. ს.ნ და წ. III–4–80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში".

5. ს.გ.ნ –73 "გაანგარიშების ნორმატივები 1 მილიონ მანეთ შესასრულებელ სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოებზე".

6. ამავე დროს გათვალისწინებულია ს.ნ და წ. 3.01.01–85, დანართი–2, პუნქტი 3–ის მოთხოვნა მშენებლობით ათვისებულ რაიონებში მოპ–ის შემადგენლობისა და მოცულობის თაობაზე.

ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

№	დასახელება	მარკა	რაოდენობა
1	შემდუღებელი აპარატი	ТДМ-500	2
2	სპეცავტოტრანსპორტი სხვა და სხვა	"კატო"	1
3	თვითმცლელი ავტომანქანა	ЗИЛ-ММЗ-4502	1
4	სატვირთო ავტომანქანა	ЗИЛ-130	1
5	საინვენტარო კიბეები	–	4
6	ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, და სხვა	–	4კომპ

ობიექტის მშენებლობისათვის საჭირო მუშაკთა მოთხოვნილების უწყისი

1	სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა (ათ. ლარი)	16
2	ერთ მომუშავეზე გამომუშავება (ათ. ლარი)	1,5
3	მომუშავეთა რაოდენობა (კაც)	8
4	მათ შორის:	
–	მუშების (85%)	6
–	დანარჩენი	1
5	ტრანსპოტზე მომსახურე და სხვა მეურნეობებზე დაკავებულ მუშაკთა რაოდენობა	1

მოთხოვნილება მშენებლობისათვის საჭირო ძირითად დროებით შენობა-ნაგებობებზე

1. სამუშაოთა მწარმოებლის დროებითი ოთახი F=10+1X4=14მ2

შეადგინა  ვ. ოდილავაძე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.18.06.014.078**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882017188155 - 14/03/2017 11:42:52

მომზადების თარიღი
15/03/2017 10:05:48

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	კრწანისი		
01	**18**	**06**	**014/078**

მისამართი: ქალაქი თბილისი , კრწანისის ქუჩა (ნაკვეთი 14/72)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 598.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.18.06.014.076;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 012006087653 , თარიღი 14/12/2006

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სანოტარო წესით 2004 წლის 24 დეკემბერს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (რეესტრის N1-9577; ნოტარიუსი ნ. ხოფერია).
- 2005 წლის 16 ივნისის სააღსრულებო ფურცელი N2/ა-228-2005.
- 2005 წლის 15 ივნისის საოლქო სასამართლოს განჩინება საქმე N2/ა-228-2005.
- საქართველოს კანონი უძრავ ნივთებთა რეგისტრაციის შესახებ მუხლი 18

მესაკუთრეები:
შპს "ბაზელი" , ID ნომერი:204469707

მესაკუთრე:
შპს "ბაზელი"

აღწერა:

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882010589560 თარიღი 03/05/2010 10:56:57

იპოთეკარი: რონალდ ვოლდმანი P/N: F 0492888;
მესაკუთრე: შპს "ბაზელი" 204469707;
საგანი: მიწის დაზუსტებული ფართობი:598.00 კვ.მ.და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა.;

იპოთეკის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი03/05/2010, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/05/2010

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.18.06.014.078*

განცხადების რეგისტრაციის ნომერი *88201296178*0

მიწის ნაკვეთის ფართობი: *598* კვ.მ.

დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*

მომზადების თარიღი 08.10.12



1/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა

ვალდებულება

ხაზობრივი ნაგებობა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

მშენებარე ნაგებობა

მიწისქვეშა ნაგებობა

UTM (საერთაშორისო) სისტემის ბადე

გენ. გეგმა

მასშტაბი 1:500



ექსპლიკაცია:

1) სადემონტაჟო შენობა

2) ავტო ამწე

3) ეზო

ქ.თბილისში, კრწანისის ქუჩა (ნაკვეთი 14/72) (საკ.კ 01.18.06.014.078) შპს "ბაზელი"–ს კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული შენობის სადემონტაჟო პროექტი				შპს "ელკომალიანსი"	
დირექტორი	თ. გოცირიძე		გენ. გეგმა	ფურცელი	
შემსრულებელი	ვ. ოდილავაძე			ა - 1	2019 წ.
				მასშტაბი	1: 500

გეგმა ±0.00 ნიშნულზე

მასშტაბი 1:100



პირობითი აღნიშვნები:

- რკინაბეტონის კედლები
- აგურის კედლები
- ბეტონის ანაკრები ელემენტები
- სველი წერტილების ტიხრები
- ფანჯრის ღიობები
- კარის ღიობები
- ლიფტის შახტი
- ლიფტის მანქანათა სივრცე
- ლიფტის ორმო
- ლიფტის ბაგირის ჩამკიდი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ღერძი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბალი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილის ნაწილი
- ლიფტის ბაგირის გადამსვლელის ბორბლის ბაგირის ღარის ზედაპირის ნაწილ

გეგმა 2.80 ნიშნულზე

მასშტაბი 1:100



პირობითი აღნიშვნები:

- რკ/ბ მონოლითური კოლონა
- რკ/ბ მონოლითური რიგელი
- კემზო ბეტონის ანაკრები საკედლე ბლოკების წყობა

ქ.თბილისში, კრწანისის ქუჩა (ნაკვეთი 14/72) (ს.კ.კ 01.18.06.014.078) შპს "გაზელი"-ს კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული შენობის სადემონტაჟო პროექტი				შპს "ელკომალიანსი"	
დირექტორი	თ. გოცირიძე		გეგმა 2.80 ნიშნულზე	ფურცელი	
შემსრულებელი	ვ. ოდილავაძე			ა - 1	2019 წ.
				მასშტაბი	1: 100

გეგმა 6.40 ნიშნულზე
მასშტაბი 1:100



პირობითი აღნიშვნები:

რკ/ბ მონოლითური კოლონა

რკ/ბ მონოლითური რიგელი

კემზო ბეტონის ანაკრები საკედლე ბლოკების წყობა

ქ.თბილისში, კრწანისის ქუჩა (ნაკვეთი 14/72) (ს.კ.კ 01.18.06.014.078) შპს "გაზელი"-ს კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული შენობის სარეკონსტრუქციო პროექტი				შპს "ელკომალიანსი"	
დირექტორი	თ. გოცირიძე		გეგმა 6.40 ნიშნულზე	ფურცელი	
შემსრულებელი	ვ. ოდილავაძე			ა - 1	2019 წ.
				მასშტაბი	1: 100

გეგმა 10.00 ნიშნულზე

მასშტაბი 1:100



პირობითი აღნიშვნები:

- რკინაბეტონის მონოლითური კედლები
- რკინაბეტონის მონოლითური რიგელი
- ქვემოთ ბეტონის ანაკრები საკედლე პლიტების წყობა

გეგმა 13.60 ნიშნულზე

მასშტაბი 1:100



ექსპლიკაცია:

- წარჯა მონოლითური კედელი
- წარჯა მონოლითური რიგელი
- კვეთზე ბეტონის ანაკრები საკედლე ბლოკების წყობა

გადახურვის გეგმა 17.20 ნიშნულზე

მასშტაბი 1:100



პირობითი აღნიშვნები:

- რკ/ბ მონოლითური კოლონა
- რკ/ბ მონოლითური რიგელი
- პემზო ბეტონის ანაკრები საკედლე ბლოკების წყობა

ქ.თბილისში, კრწანისის ქუჩა (ნაკვეთი 14/72) (ს.კ.კ 01.18.06.014.078) შპს "გაზელი"-ს კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული შენობის სარემონტო პროექტი				შპს "ელკომალიანსი"	
დირექტორი	თ. გოცირიძე		გადახურვის გეგმა 17.20 ნიშნულზე	ფურცელი	
შემსრულებელი	ვ. ოდილავაძე			ა - 1	2019 წ.
				მასშტაბი	1: 100

გადახურვის გეგმა 21.40 ნიშნულზე

მასშტაბი 1:100



პირობითი აღნიშვნები:

რკ/ბ მონოლითური კოლონა

რკ/ბ მონოლითური რიგელი

კემზო ბეტონის ანაკრები საკედლე ბლოკების წყობა

ქ.თბილისში, კრწანისის ქუჩა (ნაკვეთი 14/72) (ს.კ. 01.18.06.014.078) შპს "გაზელი"-ს კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული შენობის სადემონტაჟო პროექტი				შპს "ულკომალიანსი"	
დირექტორი	თ. გოცირიძე		გადახურვის გეგმა 21.40 ნიშნულზე	ფურცელი	
შემსრულებელი	ვ. ოდილავაძე			ა - 1	2019 წ.
				მასშტაბი	1: 100

1 - 1 ფასადი

მასშტაბი 1:100

ფასადი ა - ლ ღერძებში

მასშტაბი 1:100



ფასადი 2 - 14 ღერძებში

მასშტაბი 1:100



ქ.თბილისში, კრწანისის ქუჩა (ნაკვეთი 14/72) (ს.კ.კ 01.18.06.014.078) შპს "გაზელი"-ს კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული შენობის სარეკონსტრუქციო პროექტი				შპს "ელკომალიანსი"
დირექტორი	თ. გოცირიძე		ფასადი 2 - 14 ღერძებში	ფურცელი
შემსრულებელი	ვ. ოდილავაძე			ა - 1 / 2019 წ.
				მასშტაბი 1: 100

ფასადი ე - ე ღერძებში

მასშტაბი 1:100



ფასადი ლ - ა ღერძებში

მასშტაბი 1:100



არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები









ქ.თბილისში, კრწანისის ქუჩა (ნაკვეთი 14/72) (საკ.კ 01.18.06.014.078) შპს "ზაზელი"-ს კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული შენობის სადემონტაჟო პროექტი				შპს "ელკომალიანსი"	
დირექტორი	თ. გოცირიძე		არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები	ფურცელი	
შემსრულებელი	ვ. ოდილავაძე			ა - 1	2019 წ.
				მასშტაბი	1: 100

საღემონტაჟო სამუშაოების განხორციელების კალენდარული გრაფიკი (სამუშაოების ხანგრძლიობა 3,15 თვე)

№	ძირითადი სამუშაოების დასახელება	განზომ. ერთ.	რაოდენობა	სამუშაოთა შესრულება თვეების და კვირების მიხედვით																							
				I თვე				II თვე				III თვე				IV თვე				V თვე				VI თვე			
				1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
1	*1 ეტაპი.* მოსამზადებელი სამუშაოები (საყოფაცხოვრებო ვაგონის მოტანა, ელექტრო კარადის და სამფაზიანი მრიცხველის დამონტაჟება)	–	–																								
2	*2 ეტაპი.* "ა" ბლოკის ფასადის მოპირკეთების დემონტაჟი, სახ. ფენილის და ხის კონსტრუქციების დემონტაჟი, V, IV, III, II, I სართ. კონსტრუქციების და საძირკვლის დემონტაჟი, თხრილის შევსება მიწით	–	–																								
3	*3 ეტაპი.* "გ" ბლოკის ფასადის მოპირკეთების დემონტაჟი, სახ. ფენილის და ხის კონსტრუქციების დემონტაჟი, V, IV, III, II, I სართ. კონსტრუქციების და საძირკვლის დემონტაჟი, თხრილის შევსება მიწით																										
4	*4 ეტაპი.* "ბ" ბლოკის ფასადის მოპირკეთების დემონტაჟი, სახ. ფენილის და ხის კონსტრუქციების დემონტაჟი, V, IV, III, II, I სართ. კონსტრუქციების და საძირკვლის დემონტაჟი, თხრილის შევსება მიწით																										

შეადგინა 3. ოდილავაძემ.

598–19–14–69